# სარბიელი

სპორტული გაზეთი ოთხშაბათი 15 ივნისი 2005 №133 (2456) ფასი 50 თეთრი


# დღეს: ეს, ეს ან ეს

## პროფლიგა და სარბიელი სეზონს დახურავენ




კახა კალაძე




მალხაზ ასათიანი



ლევან კობიაშვილი










ზვიად სტურუა



ლევან მელქაძე



დავით ოდიკაძე




ნიკოლოზ შენგელაია, დიმიტრი რამიშვილი, ნოდარ ახალკაცი და პაატა ბურჭალიანი

# ზეიმის პრეს-რეპეტიცია

## დღეს პროფლიგა და სარბიელი სეზონს დახურავენ

**დღეს** „ბერიკონში" სხვადასხვა ნომინაციაში საუკეთესო ფეხბურთელები დაჯილდოვდებიან. საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა და გაზეთი „სარბიელი" თავიანთ რჩეულებს დაასახელებენ. ლამაზი საღამო უნდა გამოვიდეს, დღევანდელი ცერემონიალი ხომ პირველი იქნება საფეხბურთო საქართველოში.

პროფლიგა თავის მხრივ საქართველოს ჩემპიონატის საუკეთესო მეკარეს, მცველს, ნახევარმცველს, თავდამსხმელს, მწვრთნელს, მსაჯს, წლის აღმოჩენისა და პროექტს დააჯილდოებს, „სარბიელი" კი ტრადიციულად საქართველოს ჩემპიონატისა და ქვეყნის საუკეთესო ფეხბურთელებს გამოაცხადებს. პროფლიგა, ეცოდინება რა „სარბიელის" გამოკითხვის შედეგებს, ბუნებრივია, ჩემპიონატის საუკეთესოს თავადაც გადასცემს პრიზს.

გუშინ კი „ბერიკონში" ამ საღამოსთან დაკავშირებით ჟურნალისტებთან ისაუბრეს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ნოდარ ახალკაცმა, პროფლიგის პრეზიდენტმა დიმიტრი რამიშვილმა და სანახაობის რეჟისორმა ნიკოლოზ შენგელაიამ.



იქამდე კი დღევანდელი საღამოს რეპეტიცია გაიმართა. სუხიშვილებმა „ბერიკონში" დოლ-გარმონი „შეზიდეს" და ილიკო სუხიშვილის ხელმძღვანელობით სადღეისოდ გაივარჯიშეს. მერე პანტომიმის თეატრის მსახიობებს დაეთმოთ სცენა, ნიკოლოზ შენგელაიამ კი მათი ორი წარმოდგენიდან საღამოსთვის პირველი ვარიანტი არჩია, საფეხბურთო ამბავს ეს უფრო შეეფერებაო.

ორგანიზატორებმა სცენაზე პროფლიგისა და მათი სპონსორების სარეკლამო ბანერი გამოკიდეს, ეკრანზე კი ის კლიპები ვნახეთ, დღევანდელი დაჯილდოებისას რომ დატრიალდება.

*დიმიტრი რამიშვილი.* დარწმუნებული ვარ, ხვალინდელი ზეიმი ფეხბურთის პოპულარიზაციის ერთ-ერთი ხელშემწყობი იქნება. ვფიქრობ, კარგ საქმეს ვაკეთებთ და ვეცდებით, ღონისძიება ტრადიციული გავხადოთ. აქვე მსურს, ნოდარ ახალკაცს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტობა მივულოცო. ხვალინდელი საღამოს მონაწილე „სარბიელიც" იქნება. ეს გაზეთი უკვე 10 წელზე მეტია, საუკეთესო ფეხბურთელების გამოკითხვას ატარებს. ჩვენს პრიზს კი, რომელიც ტრადიციული იქნება, „დია" ჰქვია.

*ნიკოლოზ შენგელაია:* მსურს, ნოდარ ახალკაცს პრეზიდენტობა მივულოცო. რაც შეეხება ცერემონიალს, ეს მშრალი დაჯილდოება არ იქნება, ეს იქნება ნამდვილი ზეიმი. ფეხბურთს ხელოვანი ხალხის მხარდაჭერაც სჭირდება. კარგია, რომ ფეხბურთელებს ამით სტიმული ეძლევათ.

*ნოდარ ახალკაცი:* მადლობა პროფლიგას ამ ღონისძიების ორგანიზებისთვის. ქართული ფეხბურთისთვის ძალიან მნიშვნელოვან საქმეს ეყრება საფუძველი და აუცილებელია, მსგავსი დაჯილდოება ყოველ წელს გაიმართოს. ხვალინდელი საღამო ქართული ფეხბურთის პოპულარიზაციისა და განვითარების ხელშემწყობი იქნება. ფედერაცია და პროფლიგა ერთმანეთთან მჭიდროდ თანამშრომლობენ და ერთობლივი ძალებით ვეცდებით ჩვენი ფეხბურთის განვითარებას.

**კობა ინასარიძე**

***ბადრი ქეთილაძის ფოტოები***





# ფირცხალავა გენმდივნადო

## პასუხი ამ კვირაში იქნება



**საქართველოს** ფეხბურთის ფედერაციის ახალი გენერალური მდივანი გია ფირცხალავა იქნებაო — თბილისის „დინამოს" ყოფილი აღმასრულებელი დირექტორი, ვინც რამდენიმე წლის წინ ფედერაციის საშეჯიბრო კომიტეტსაც ხელმძღვანელობდა.

ნოდარ ახალკაცის პრეზიდენტად არჩევის შემდეგ სხვადასხვა თანამდებობებზე ნაირ-ნაირ კანდიდატთა დანიშვნას ვარაუდობენ, თუმც ჯერჯერობით პრეზიდენტს თავისი გუნდის არც ერთი წევრის ვინაობა არ დაუსახელებია. ცხადია, არც გია ფირცხალავას შესაძლო დანიშვნაზე უთქვამს რამე და ეს ინფორმაციაც უფრო კულუარულია.

დავით პეტრიაშვილი, პაატა ჩხეიძე, გაიოზ დარსაძე — აი, ამ სახელებსა და გენმდივნის პოსტს აკავშირებენ ერთმანეთთან, თუმც, როგორც გითხარით, ბოლო დღეებში, გენმდივნად გია ფირცხალავაი, სულ უფრო ხშირად ისმის.

— ვერაფერს გეტყვით, არ ვიცი, საიდან გავრცელდა ასეთი ინფორმაცია. ფაქტია, რომ ნოდარ ახალკაცს ჯერ არც კი შევხვედრივარ — გვითხრა გუშინ გია ფირცხალავამ, რომელიც ფედერაციის საპრეზიდენტო არჩევნებში თავადაც აპირებდა მონაწილეობას, მაგრამ ისე მოხდა, რომ კანდიდატურა არც წამოუყენებია.

შევიტყვეთ ისიც, რომ გენმდივნის პოსტზე ვალერი ჩოლარიას მემკვიდრის ვინაობა ნოდარ ახალკაცმა შესაძლოა, ამ კვირაშივე გამოაცხადოს.

**კობა ინასარიძე**

**მსოფლიოს 2005 წლის 20-წლამდელთა ჩემპიონატი**

**B ჯგუფი. II ტური**
ჩინეთი 3:2 უკრაინა
პანამა 0:1 თურქეთი

**C ჯგუფი. II ტური**
მაროკო 5:0 ჰონდურასი
ჩილე 0:7 ესპანეთი

**D ჯგუფი. II ტური**
ეგვიპტე 0:2 არგენტინა
აშშ 0:0 გერმანია

**იტალია**

**სერია A. პლეი ოფი. I მატჩი**
პარმა 0:1 ბოლონია



# ლივერპული თბილისში?
## თორმეტიდან ერთი შანსი

„ლივერპულის" ევროტრიუმფმა უეფას ხომ გვარიანად აურია დავთრები და ეს ამბავი გარკვეულწილად თბილისის „დინამოსაც" შეეხო. ნუ ვიჩქარებთ, ნაბიჯ-ნაბიჯ ავხსნათ ყველაფერი...

მოგეხსენებათ, მერსისაიდელები 2005-2006 წლების საჩემპიონთა-ლიგო სეზონში პირდაპირ ჯგუფურ ეტაპზე მოხვედრას ითხოვდნენ, უეფას მესვეურები კი (პრეზიდენტ ლენარტ იუჰანსონისა და კიდევ რამდენიმე ჩინოსნის გამოკლებით) „ლივერპულს" საერთოდ არ უშვებდნენ ლიგაზე — ერთი ქვეყნიდან ხუთი კლუბის დაშვება ჩვენს წესებში არ წერიაო. შეგახსენებთ, რაფაელ ბენიტესის გუნდმა ინგლისის პრემიერლიგაში მეხუთე ადგილი დაიკავა და თითქოსდა, უეფას თასზე უნდა ეთამაშა, მაგრამ ჩემპიონთა ლიგის მოქმედმა მფლობელმა ამავე ტურნირზე ვერ ითამაშოს, ესეც უხერხული იქნებოდა.

საბოლოოდ, უეფამ არც მწვადი დაწვა და არც შამფური: „ლივერპული" პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე დაუშვა, ანუ იქ, სადაც სუსტი ევროპული ქვეყნების ჩემპიონები არიან თავმოყრილნი. მათ შორისაა თბილისის „დინამოც" და მივადექით მთავარ ამბავს — შესაძლოა, დინამოელები პირველივე ეტაპზე გადაეყარნონ „წითლებს" და აი, რატომ: ამ ეტაპზე 24 გუნდი თამაშობს, რომელთაგან 12 განთესილია, 12-იც განუთესავი.

უეფამ „ლივერპული" განუთესავთა შორის „ჩაჭყლიტა", „დინამო" კი განთესილია. არიქა, ბიჭო, ეგებ, სტივენ ჯერარდი და ფერნანდო მორიენტესი ვნახოთო, იტყვიან ისინი, ვისაც დინამოელების მეორე-მესამე საკვალიფიკაციო ეტაპებზე გასვლაზე ხელი ჩაუქნევია.

რა გასაკვირია, ბევრ „ისე რა" კლუბს ძალიან გაუხარდა „ლივერპულთან" შეხვედრის პერსპექტივა, ტელეტრანსლაციებით და ბილეთების გაყიდვით ჯიბეს გავისქელებთო, მაგრამ ამბიციურ და ჯგუფური ეტაპისთვის მებრძოლ გუნდს მერსისაიდელებთან შეხლა რაში უნდა აწყობდეს?!

მოკლედ, 24 ივნისს ნიონში პირველი და მეორე საკვალიფიკაციო ეტაპების კენჭისყრაა. მაშინ გავიგებთ, დინამოელებს თორმეტი ვარიანტიდან სწორედ „წითლები" ერგოთ თუ არა.

აქვე გთავაზობთ იმ თორმეტივე გუნდის სიას, რომლებიც კახა ცხადაძის ბიჭების სავარაუდო მეტოქეები არიან: „შლემა უონდერერსი" (მალტა), „შელბურნი" (ირლანდია), „პიუნიკი" (სომხეთი), „ტოტალ ნეტვორი" (უელსი), „ტირანა" (ალბანეთი), „გლენტორანი" (ჩრდილოეთ ირლანდია), „ლევადია" (ესტონეთი), „დუდელანჟი" (ლუქსემბურგი), „ნეფთჩი" (აზერბაიჯანი), „ტორსჰავნი" (ფარერები), „კაირატი" (ყაზახეთი), „ლივერპული" (ინგლისი).

პირველი ეტაპის მატჩები 12-13 და 19-20 ივლისს გაიმართება, მეორე ეტაპისა კი 26-27 ივლისს და 2-3 აგვისტოს.

აქვე მეორე ეტაპზე „დინამოს" სავარაუდო შემხვედრებსაც გავეცნოთ. ასეთი 16 გუნდია: „ტრაბზონი" (თურქეთი), „სელტიკი" (შოტლანდია), „ანდერლეხტი" (ბელგია), „თუნი" (შვეიცარია), „დინამო" (კიევი, უკრაინა), ცსკა (ბულგარეთი), „ვოლერენგა" (ნორვეგია), „მაკაბი" (ჰაიფა, ისრაელი), „რაპიდი" (ავსტრია), „პარტიზანი" (სერბეთი), „ლოკომოტივი" (რუსეთი), „ბრონდბიუ" (დანია), „ჰაიდუკი" (ხორვატია), „მალმიო" (შვედეთი), „დებრეცენი" (უნგრეთი), „სტიაუა" (რუმინეთი).

**ილია ნანობაშვილი**



სარბიელის არქივიდან

1979 წელი. ჩემპიონთა თასზე თბილისის „დინამოსგან" „ლივერპულის" ძლევა ქართველ ქომაგს დღემდე ახსოვს

# გიორგი ნერგაძე: უპირატესობა ჯობნას არ ნიშნავს

თბილისის „დინამოს" ახალი სეზონისთვის რამდენიმე ახალმა ფეხბურთელმა მიაშურა და ერთ-ერთი მათგანი გიორგი ნერგაძეა. ეს 22 წლის საყრდენი შუახაზელი „დინამოში" ქუთაისის „ტორპედოდან" მივიდა და საკუთარი შესაძლებლობების წარმოსაჩენად უკეთესი შანსიც გაუჩნდა — „დინამოში" ნებისმიერი ფეხბურთელის ნიჭი და უნარი ხელის გულზე დადებულივით უნდა გამოჩნდეს და ალბათ ასე იქნება ნერგაძისთვისაც...



## დინამოს კონკურენტი არ უჩანს, ტორპედო ფეხბურთელებს თხოულობს

— უკვე „დინამოში" ვარჯიშობ, მაგრამ კონტრაქტის საკითხი როგორაა?

— „დინამოსთან" კონტრაქტი ჯერ არ გამიფორმებია. გუნდთან ერთად რუიტში წავალ შეკრებაზე და იქიდან რომ დავბრუნდებით, კონტრაქტის საკითხიც მერელა გაირკვევა.

— ეს იმას ხომ არ ნიშნავს, რომ „დინამოში" გასინჯვაზე ხარ?

— არა. უბრალოდ, კონტრაქტი დროის ამბავია.

— „ტორპედოსთან" ხელშეკრულება დაგიმთავრდა?

— ჰო, თავისუფალი აგენტი ვარ. ისე კი, „ტორპედოს" ვიცე-პრეზიდენტ შედან ნანიკაშვილს ჩემი აგენტისთვის, მამუკა ჯულელისთვის უთქვამს, იქნებ, დამეხმარო და გუნდიდან წასული ფეხბურთელების მაგივრად სხვა გუნდებიდან მანათხოვრებინო ფეხბურთელები უეფას თასზე სათამაშოდო.

— თქმა არ უნდა, „დინამოში" „ტორპედოზე" დიდი კონკურენციაა. „ტორპედო" შეკრებებზეც ვერ მიდიოდა, „დინამოში" კი პირიქითაა და, ალბათ, ასეთ დინამოელებს შენთან უპირატესობა ექნებათ — ისინი შენზე კარგად არიან მომზადებულები...

— კონკურენცია მართლაც იქნება, თუმცა, ვფიქრობ, ჩემს პოზიციაზე ძალიან ბევრი კონკურენტი არ მეყოლება. რაც შეეხება შეკრებებს და მომზადებას, ალბათ მართლაც ასეა საქმე, მაგრამ ეს უპირატესობა საკმარისი არაა იმისთვის, რომ სხვამ მაჯობოს — [illegible] უმატებ, კარგად მოვემზადები და ყველანაირად ვეცდები ძირითადი ადგილის დამკვიდრებას.

— „დინამოს" ხელმძღვანელობას ფეხბურთელებისთვის კონკრეტული მიზნები ჯერ არ დაუსახავს?

— ჯერ არა, ასეთი საუბარი ალბათ რუიტული შეკრების შემდეგ იქნება.

— როგორც უნდა იყოს, „დინამოს" საქართველოს ჩემპიონობა არ უნდა გაუჭირდეს, რადგან ჯერჯერობით ისეთი გუნდი არ ჩანს, „დინამოს" ჩემპიონობისთვის დიდი კონკურენცია გაუწიოს...

— ერთი რამ ნათელია — „დინამო" მომავალ სეზონში მართლაც კარგი გუნდი იქნება. უმაღლესი ლიგის სხვა მოწინავე გუნდებიდან კი ფეხბურთელები მიდიან, ეს გუნდები ჯერჯერობით სუსტდებიან და ჩემპიონობაც არ უნდა გაგვიჭირდეს. თუ უმაღლეს ლიგაში გუნდების რაოდენობა გაიზრდება, არა მგონია, მათ შორის ჩემპიონობისთვის მებრძოლები გამოერივნონ. თუმცა, უმაღლეს ლიგაში რიგიანი გუნდებიც იქნებიან — კარგი გუნდი ეყოლება თბილისის „ამერს", არაუშავს „ბორჯომსაც", მაგრამ ჩემპიონობაში „დინამოს" ალბათ ვერავინ შეეცილება.

**დავით თაგართქილაძე**

# ვიტ ჯორჯიასთვის პაპაც სერიოზულია

**ქართული** კლუბებიდან ევროსეზონის გამხსნელი „ვიტ ჯორჯია“ საქართველოს ნაკრების ბაზაზე ვარჯიშობს. როგორც იცით, ვიტელები 18 ივნისს უნგრეთში გაემგზავრებიან, 19-ში კი იქაურ „ლომბარდ პაპასთან“ ინტერტოტოს თასის საპირველეტაპო მატჩი ელით.

როგორც საქართველოს ექსჩემპიონთა თავკაცმა ნესტორ მუმლაძემ გვითხრა, გუნდს უნგრეთში ვერ გაჰყვება მცველი თენგიზ კობიაშვილი, რომელიც ფეხს იტკივებს და ვერ ვარჯიშობს. ასევე არ იქნება „ვიტ ჯორჯიას“ მთავარი ფორვარდი ოთარ მარცვალაძე — იგი შარშან ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე ფარერების „ჰაფნართან“ გააძევეს და სამთამაშიანი დისკვალიფიკაცია მისცეს. მარცვალაძე უნგრეთში კი ვერ ითამაშებს, მაგრამ „ლომბარდ პაპასთან“ განმეორებით მატჩში მინდორზე იქნება.

„დანარჩენი ფეხბურთელები მწყობრში გვყავს, მიკროტრავმებიც კი არ არის და კარგ პირობებში ვემზადებით. „ლომბარდ პაპამ“ უნგრეთის ჩემპიონატში ბოლოდან მესამე ადგილი დაიკავა, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მოვეშვებით. ჩვენთვის ყველა თამაში სერიოზულია, მით უმეტეს, როცა საქმე ევროტურნირს ეხება.

...უცხოური შეკრების გამართვა კი გვინდა, მაგრამ ეს იმაზეა დამოკიდებული, რამდენ ეტაპს გავივლით ინტერტოტოზე. „ლომბარდ პაპაზე“ ცნობებს ვაგროვებთ, ახლა ვიდეოკასეტებს ველოდებით, უკეთ უნდა შევისწავლოთ მეტოქე“ — გვითხრა მუმლაძემ.

აქვე დავამატებთ, რომ „ვიტ ჯორჯიაში“ ახალი სახე არ გამოჩენილა. მცველი ალექსანდრე ინწკირველი და მეკარე სერგო ჭურაძე რომ წავიდნენ, ეს კი გეცოდინებათ.

**ილია ნანოზაშვილი**

# ნიკურაძე ამერელია



**გუშინ** საბოლოოდ გადაწყდა, რომ უმაღლეს ლიგაში აღზევებული თბილისის „ამერი“ ფინური „კოოტეეპეეს“ ქართველი მეკარით, გიორგი ნიკურაძით გაძლიერდა. მხარეები სამწლიან თანამშრომლობაზე შეთანხმდნენ, კონტრაქტი კი ივლისიდან შევა ძალაში.

26 წლის ნიკურაძე უკვე მეხუთე წელია, ფინეთში თამაშობს და ერთხელ საქართველოს ნაკრებშიც იყო მიწვეული — 2003 წლის 12 თებერვალს მოლდოვის ნაკრებთან ამხანაგურ მატჩში ითამაშა.

ამგვარად, „ამერმა“ საუმაღლესლიგოდ უკვე მეორე შენაძენი გააკეთა. შეგახსენებთ, რომ ამ ცოტა ხნის წინ კლუბმა თბილისის „სპარტაკის“ 21 წლის თავდამსხმელი დიმიტრი ტატანაშვილიც გადაიბირა.

**ჭაჭა შალამბერიძე**

# ჩვენს ჯოჯოხეთს ფეხბურთიდა აკლდა



**აბა,** ვინ გვეტყვის, რა სარგებლობა მოაქვს ფეხბურთს?!

და ვინაიდან ამ კითხვაზე ერთნაირად ორი კაციც ვერ უპასუხებს, თავად მოგახსენებთ: ფეხბურთი ბილწად გინების და გულში მთელი ცხოვრების მანძილზე დაგროვილი ბალღამის გადმონთხევის საშუალებას იძლევა. ამიტომაც გვიყვარს!

გაგვიგონია, სადაც ფეხბურთია, იქ გინებაცააო. აგაშენათ ღმერთმა, ფეხბურთი კაცური თამაშია, ხოლო კაცებს გინება სჩვევიათ. ერთი შეხედვით, შეუძლებელია, არ დაეთანხმო ამ ფაქტსა თუ ლოგიკას, ოღონდ, ყურადღების ერთ წვრილმანზე გამახვილებით: სხვაა „ამის დედა“, სხვაა „შენი დედა“; სხვაა „ეი, მეკარე ან ეი, ბაკავოი, შენი დედა“, კიდევ სხვაა „ეი, მეკარე ან ბაკავოი, გამოიხედე რო გეძახი! შენი დედა“... და ეს ყველაფერი ძალიან თავისებურ ელფერს იღებს, როდესაც მოქმედება ხდება გასაცოდავებულ სტადიონზე, სადაც ორმოებიან მოედანზე ვითომ ფეხბურთი ხერხდება, ტრიბუნაზე კი სულ ორმოცდაათი კაცია და მაგინებელი იმ მეკარისგან ან „ბაკავოისგან“ ერთ-ორ მეტრში დგას, ვთქვათ, დამცავი ბადის ან რაიმე ასეთის გადაღმა. მოდით, ამ შემთხვევაში თავი დავანებოთ იმას, რომ ძალიან ხშირად ის, ვინც იგინება, იმ მეკარეზე ორჯერ უფროსია ანუ ქართველების საყვარელი ტერმინი რომ ვიხმაროთ, მამად ეკუთვნის. თავი დავანებოთ იმიტომ, რომ მეკარეს მამად ეკუთვნის თუ მსაჯს ბიძაშვილად, გინების ეს ფორმა მეტისმეტად ცუდი გვგონია და, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, ზოგადი, თუნდაც გინებით ამოძახილისგან ძალიან განსხვავებული რამ გვგონია.

ამბობენ, ინგლისში სანიმუშო ფანობაა, ქომაგები ფეხბურთელებს მოგების თუ წაგების დროს მხარში უდგანანო. უცნაურია, ხომ? ინგლისელებზე გვსმენია, რომ საძაგელი, ლოთი, ყველაფრის მმტვრეველი ფანები ჰყავთ და უცებ, სანიმუშოობა. ან იქნებ, მხარში დგომა იმას ნიშნავს, რომ მოგების თუ წაგების დროს ფანები ბოლომდე ამტვრევენ ყველაფერს და მსაჯებსა და მეტოქეებს აგინებენ?

არა, ასე არ არის. ინგლისელთა ლოთობასა და დებოშირობას თავისი დრო და ადგილი აქვს, პრემიერლიგის სტადიონებზე კი (ქართველ მაგინებლებს ვთხოვთ, პირად შეურაცხყოფად არ მიიღონ) საოჯახო და არამწეველთა ტრიბუნებიც კი არსებობს. განვმარტოთ: საოჯახო ტრიბუნა არის ადგილი, საიდანაც თავიანთ საყვარელ გუნდს დიდი ღრიანცელით ქომაგობენ დედები, მამები და მათი პირმშოები, არამწეველთა ტრიბუნებზე კი არ ეწევიან მუჭში ჩამალულ, შებრუნებულ სიგარეტსაც კი.

აბა, სად ჩხუბობენ და იგინებიან, დალოცვილები?

გინებით, ზოგადად, ასე ვთქვათ, „ამის დედას“ დონეზე, ალბათ მეტნაკლებად ყველგან იგინებიან, მაგრამ აი, „შენი დედასთან“, რამდენადაც ვიცით და გვინახავს, ცოტა სხვანაირი დამოკიდებულება აქვთ.

საქმე ის არის, რომ ინგლისელები ბევრ რამეში, მათ შორის საფეხბურთო ხულიგნობაშიც, ქართველებზე ყოველთვის გაცილებით წინ იყვნენ, იმდენად წინ, რომ 1985 წელს, როდესაც ჩვენ „პრავდასა“ და „იზვესწიაში“ ფეხბურთში ნატიფად გარკვეულ გულშემატკივარს გვიწოდებდნენ, მათ ბრიუსელში სტადიონი ჩამოანგრიეს და 40 იტალიელი მოკლეს. ეს ჯოჯოხეთის ფსკერი იყო, რომელმაც ბევრი რამ შეცვალა. მაშინ ინგლისურ გუნდებს ხუთი წლით აუკრძალეს ინგლისს გარეთ თამაში, საკუთრივ ბრიტანეთის ხელისუფლებამ კი დიდი და სერიოზული პროგრამა შეიმუშავა ჯოჯოხეთიდან ამოსასვლელად და ხალხის სწორად აღსაზრდელად.

და, რა ხდება იმ საშინელი დღიდან ოცი წლის შემდეგ? ხდება ის, რომ ქომაგობაში მთელი მსოფლიო ინგლისელების მიბაძვას ცდილობს. ინგლისელი ფანები არიან ყველაზე ერთგული, ვაჟკაცური, ბოლომდე მყვირალი და მომღერალი, ქომაგობაში ფანტაზიით აღსავსე და ხალხმრავალი. მათ ქვეყანაში დაუწერელი კანონიც კი მოქმედებს, გულშემატკივარს შეფები მისი გუნდის თამაშის დღეებში სამსახურიდან ათავისუფლებენ. ხოლო ჩხუბები უმეტესწილად წარსულს ჩაბარდა. ცხადია, აქა-იქ კიდევ შემორჩა, მაგრამ, მოდით, ნუ გავთავხედდებით და დღევანდელს უწინდელს ნურც შევადარებთ. ხოლო, თუ სანაკრებო ან საკლუბო დონეზე შიგადაშიგ მაინც გვესმის, რომ ინგლისელი ფანები ბრიუსელს თუ სტამბოლს იპყრობენ, იმასაც დავაკვირდეთ, რომ ეს მათ ჰყოფნით სხვაგან ხმაურის გამბედაობა, მეტოქის საწყლად მდგომ მეკარეს და მსაჯს კი გარშემო არ ეხვევიან და „გამოიხედე, შენი დედას“ არ ეძახიან. სხვათა შორის, ეს თვისება მათ ჩხუბიანობის ეპოქაშიც გამორჩეულად ჰქონდათ.

ჰოდა, რით შეიძლება ეს ყველაფერი აიხსნას? თუნდაც მხოლოდ ინგლისელების მაგალითზე რისი დასკვნა შეგვიძლია? უპირველესად ალბათ იმის, რომ იქ, ინგლისში ყველაფერი ნაღდია, ნაღდია ფეხბურთიც, ქომაგობაც და ხულიგნობაც. ქომაგებმა იციან, რომ ფეხბურთი ნაღდია და ფეხბურთელებმა იციან, რომ ქომაგობაა ნაღდი. ფეხბურთელს თამაში უყვარს, ქომაგს ქომაგობა. ისინი ერთმანეთს არ ატყუებენ. მათ უხარიათ, სიამოვნებთ ის, რაშიც მონაწილეობენ, ხოლო როდესაც ჩნდება ხალხი, რომელსაც სიამოვნება ხულიგნობა ჰგონია, მათი ნაღდად მომჭკვიანებლებიც გამოდიან სცენაზე. მოკლედ, საზოგადოება არ იტყუება და ჩვეულებრივი, ალალი ცხოვრებით ცხოვრობს. ფეხბურთელი არ ნიშნავს ხულიგანს, ქომაგი ფეხბურთელს, ქომაგი არც ხულიგანს ნიშნავს და ხულიგანმაც იცის, რომ მხოლოდ და მხოლოდ ხულიგანია, ხოლო ყველაფერს თავისი დრო და ადგილი აქვს.

ჩვენთვის კი გაუგებრად რჩება, რატომ უნდა წახვიდე იქ, სადაც მხოლოდ და მხოლოდ უნდა იგინო? ეს ხომ ცუდია. განა არ სჯობს, წახვიდე იქ, სადაც გაიღიმებ, კეთილ სიტყვას იტყვი, გაიხარებ?! თუკი ფეხბურთი ბოლმას განთხევინებს, წადი ქეიფში, ჭიდაობაზე, კინოში, მამიდაშვილს ესტუმრე... იყავი ალალი, სიბრაზეს სიხარული რომ სჯობია, ამაში გამოუტყდი საკუთარ თავს და იქნებ, იმ უნიათო ფეხბურთელებმაც მერე სწრაფი, გემრიელი ფეხბურთის თამაში ამჯობინონ ზოზინს, ბლარძუნს და გარიგებულ სამარცხვინო თამაშებს. მერე, იქნებ, სხვა ხალხიც მოვიდეს სტადიონზე და „შენი დედას“ მაგივრად ყველამ ერთად უფრო სასიამოვნო სიტყვები, „დინა-მო“, „ტორ-პე-დო“, „დი-ლა“, „კოლხე-თი“, „სი-ო-ნი“ და ამღაგვარები ვიყვიროთ.

დიახ, ფეხბურთი კაცური თამაშია, მაგრამ კაცობა ხომ მარტო მყრალად გინებას და დებოშს არ ნიშნავს. კაცობა კაცურ ბურთაობას, კაცურ თანადგომას, ტრიბუნიდან ბოლომდე ყვირილს, კაცურ სიმღერას, კაცურ მოგებას, კაცურ წაგებას, საქმის კაცურად კეთებას და ჯანდაბას, ამ ყველაფრის მერე გინებასაც ნიშნავს, თორემ, თაობა იზრდება და, ფეხბურთი ბოლმის ნთხევააო, თუ ვეტყვით, გვეშინია, რომ დაიჯერებს.

და ბოლოს, მოდით, ვისაც ასე თუ ისე ეხება ეს ამბავი, მოვინდომოთ, რათა ხუთი, ათი და ოცი წლის შემდეგ საქართველოს სტადიონებზე ბევრი ხალხი იჯდეს და თავდადებით, ნაღდი ქომაგობით, ფეხბურთის სიყვარულით ბოლომდე უჭერდეს მხარს თავის გუნდს.

მოკლედ, ჩვენ ასე ვფიქრობთ და ამას გთავაზობთ, დანარჩენი კი...

**პაპუნა ძიძია**





ალექს ფერგიუსონმა რაფაელ ბენიტესი დაარიგა

# სერმა ბენიტესი გააოცა

**ინგლისური** „ლივერპულის" თავკაცმა რაფაელ ბენიტესმა ცნობილ ესპანურ გაზეთ „მარკასთან" საუბრისას ერთ საინტერესო და ცოტა არ იყოს უცნაურ მისალოც წერილზე ისაუბრა, რომელიც მან „მანჩესტერის" მთავარ მწვრთნელ სერ ალექს ფერგიუსონისგან მიიღო. ბენიტესს დაწვრილებით არ დაუკონკრეტებია ტექსტის შინაარსი. როგორც ჩანს, შოტლანდიელმა სპეციალისტმა მას რამდენიმე რჩევაც მისცა.

რაფაელ ბენიტესი: „ბევრი ქვეყნიდან უამრავი მილოცვა მივიღე, მაგრამ ფერგიუსონის წერილი ძალიან უცნაური გახლდათ. მასში მთელი სეზონის მანძილზე, განსაკუთრებით კი დასკვნით ეტაპზე „ლივერპულის" ტაქტიკა იყო გარჩეული და შეფასებული. სიმართლე გითხრათ, ეს ცოტა გამიკვირდა კიდეც".

გარდა ამისა, ესპანელმა სპეციალისტმა მომავალ სეზონზეც თქვა ორი სიტყვა. მან აღნიშნა, რომ „ლივერპულს" კიდევ სჭირდება გაძლიერება და სკაუტები ახალი ფეხბურთელების ძებნას განაგრძობენ.

„ახლა მთავარია, ბრძოლისუნარიანობა შევინარჩუნოთ. რეალურად გუნდი რამდენიმე ცვლილებას საჭიროებს. გადახალისება და ზოგიერთი პოზიციის გაძლიერება აუცილებელია" — დასძინა ბენიტესმა.

აქვე ვახსენოთ იგორ ბიშკანიც, რომელიც თვის ბოლოს თავისუფალი აგენტი გახდება. ბენიტესის გადაწყვეტილებით, ხორვატს კონტრაქტს არ გაუგრძელებენ და ფეხბურთელიც შესაბამისად, ახალ გუნდს ეძებს. ბიშკანი ამჟამად „ფენერბაჰჩესთან" აწარმოებს მოლაპარაკებას. აღსანიშნავია, რომ თურქებს ნახევარმცველის გადაბირება ადრეც სურდათ.

**გიორგი ძაძაგაძე**

# ჯერარდი ჩქარობს



სტივენ ჯერარდს „ლივერპულიდან" წასვლა არ უნდა

„**ლივერპულის**" კაპიტანი სტივენ ჯერარდი თავისი მომავლის გადაწყვეტას ელოდება და კლუბს აჩქარებს, გასარკვევი მალე გაარკვიოთო.

25 წლის ფეხბურთელის შესახებ უკვე ამბობდნენ, „ენფილდიდან" მიდისო, თუმც გადამწყვეტი ლაპარაკები ივნის-ივლისის საზღვარზე გაიმართება.

„ბურთი ახლა უფროსობის ნახევარზეა. სწორედ მათ მოქმედებას ველი" — თქვა ჯერარდმა.

თავად „ლივერპული" კი კომენტარისგან თავს იკავებს.

„ჩელსი", „მილანი", „რეალი" — აი, ვის უნდა სტივი. თუმცა თავად ფეხბურთელი ამბობს, რომ შინ დარჩენა ურჩევნია.

„აქ ორწლიანი კონტრაქტი მაქვს. ახლა სწორედ მის გახანგრძლივებაზე უნდა ვილაპარაკოთ. რაც ადრე, მით უკეთესი" — დასძენს ფეხბურთელი.

**ირაკლი გამყრელიძე**

# ოდომ მილანი შეემოსძახა



მასიმო ოდომ (ბურთით) „მილანი" ირჩია

**რა ხანია,** „ლაციოს" მცველ მასიმო ოდოს „მილანში" შესაძლო გადასვლის შესახებ ვრცელდება ინფორმაცია და მხარეებს შორის მოლაპარაკება ახლაც მიმდინარეობს. ამჯერად ამ თემაზე კომენტარი თავად ფეხბურთელმა გააკეთა: „მაგალითად, „ინტერს", „იუვენტუსსა" და „მილანს" შორის არჩევანის გაკეთება რომ მომიხდეს, „როსონერის" ავირჩევ. კარიერის საწყისი ეტაპი სწორედ იქ გავატარე და სიამოვნებით დავბრუნდებოდი. პრესაში წავიკითხე მათი ინტერესის შესახებ და ვთვლი, რომ ეს ბოლო წლებში ჩემი თავდაუზოგავი შრომის შედეგია. თუმც რა მოხდება, ჯერ ცნობილი არ არის. „ლაციოსთან" კონტრაქტი მაქვს და სანამ რაიმე გადაწყვეტილებას მივიღებ, კლუბის გეგმებს უნდა გავეცნო".

ამასობაში, „იუვენტუსში გადასული ჯულიანო ჯანიკედა საბოლოოდ გამოემშვიდობა „ლაციოს".

„მინდა დავემშვიდობო და მადლობა გადავუხადო ყველას, ვისთან ერთადაც „ლაციოს" მაისურის ტარების პატივი მქონდა. აქ ოთხი წელი გავატარე და მიუხედავად გარკვეული იმედგაცრუებისა, ეს პერიოდი სამუდამოდ დარჩება ჩემს გულში და ყოველთვის სიამოვნებით მოვიგონებ" — განაცხადა ჯანიკედამ.

**გიორგი ძაძაგაძე**

# ევერტონმა ოსმანი დაიტოვა
## პარკერს კი დაემშვიდობა

„**ევერტონმა**" ერთ-ერთ წამყვან ფეხბურთელთან, ლეონ ოსმანთან გააახანგრძლივა კონტრაქტი. არადა, ვრცელდებოდა ჭორები, 24 წლის ნახევარმცველს რამდენიმე გრანდი უტრიალებს და იგი „გუდისონ პარკს" დატოვებსო. ოსმანმა კი თავისი მომავალი „ტკბილეულებს" კიდევ 4 წლით დაუკავშირა.

„ევერტონის" დატოვება არასდროს მინდოდა. მშვენიერი სეზონი მქონდა და იმედია, კონდიციებს კიდევ უფრო ავიმაღლებ. სხვა წინადადებებიც მქონდა, მაგრამ იყო „ევერტონის" მოთამაშე, ბევრს ნიშნავს. ჩემპიონთა ლიგის მატჩებს უკვე მოუთმენლად ველით, გუნდში საბრძოლო განწყობაა. თუ რამდენიმე ახალ ფეხბურთელს დავიმატებთ, მჯერა, ქომაგთა გახარებას შევძლებთ" — თქვა ოსმანმა.



სკოტ პარკერი

ახალ მოთამაშეებს და გუნდის გაძლიერებას რაც შეეხება, როგორც ჩანს, ლივერპულელებმა სკოტ პარკერის შეძენაზე ხელი საბოლოოდ ჩაიქნიეს. მოგეხსენებათ, „ჩელსის" პერსპექტიული ნახევარმცველით პრემიერლიგის კლუბების თითქმის ნახევარია დაინტერესებული. ლონდონელთა თავკაცი ჟოზე მაურინიუ მზად არის, სვენ-გორან ერიკსონის თხოვნა გაითვალისწინოს და პრაქტიკის მიღების მიზნით პარკერს წასვლის ნებას აძლევს, მაგრამ მსურველს საკმაოდ სოლიდური თანხის გადახდა მოუწევს. გავრცელებული ცნობით, საუბარია დაახლოებით 6,5 მილიონ გირვანქაზეა. როგორც ირკვევა, „ევერტონს" მასზე ხელი არ მიუწვდება. შეძენის ყველაზე მეტი შანსი „ნიუკასლს" ჰქონია.

„რასაკვირველია, პარკერი ბრწყინვალე მოთამაშეა და მისი მოსვლა ძალიან გაგვახარებდა, მაგრამ ამგვარი ტრანსფერის განხორციელება ამ ეტაპზე არ შეგვიძლია" — აღნიშნა „ევერტონის" მთავარ მწვრთნელ დევიდ მოიესის თანაშემწემ ალან ირვინმა.

**გიორგი ძაძაგაძე**

# ბესტი კვლავ პოლიციაშია

**59 წლის** საფეხბურთო ლეგენდა ჯორჯ ბესტი კვლავ გისოსებს მიღმა აღმოჩნდა. ფეხბურთის ვარსკვლავი, ყოფილი ლოთი და გადანერგილი ღვიძლით მოარსებე ბესტი ეჭვმიტანილია იმაში, რომ 13 წელზე უმცროს გოგონას სექსუალურად შეუტია.

საჩივარი 9 ივნისს შესულა სარის საგრაფოს პოლიციაში. იმავე დღით თარიღდება სხვა საჩივარიც სექსუალურ შეტევაზე, რომელიც იმავე პოლიციაში შეიტანა 34 წლის ქალმა, რომელიც ბესტს სხეულის დაზიანებაზეც უჩივის.

ბესტმა ცხრასაათიანი დაკითხვა გაიარა, მისი აგენტი კი ყოველივეს უარყოფს.

ყოფილი ფეხბურთელი გაუშვეს და 6 ივლისისთვის დაიბარეს.

**ირაკლი გამყრელიძე**



ჯორჯ ბესტს პრობლემები არ ელევა





მასიმო მორატი ანტონიო კასანოს არასდროს დაურეკავს

# მორატიმ კასანო გამორიცხა

## ანტონიო, პრობლემებს შეგვიქმნი

„**ინტერის**" მფლობელმა მასიმო მორატიმ განაცხადა, ანტონიო კასანოს ყიდვას არ ვაპირებო. იტალიური პრესა კი ვარაუდობდა, რომ „სიურპრიზი", რომელსაც მორატი ქომაგებს შეჰპირდა, სწორედ „რომას" ახალგაზრდა ფორვარდი იქნებოდა.

„ეს ტრანსფერი არასოდეს შედგება. კასანო გამორჩეული ფეხბურთელია, მაგრამ არა მგონია, მან სათამაშო კლასი ამაზე მეტად აიმაღლოს. ჩვენ კი უფრო ბევრ პრობლემას შეგვიქმნის, ვიდრე გადაგვიჭრის" — აღნიშნა მორატიმ.

ამ თემაზე საინტერესო კომენტარი გააკეთა იტალიაში ერთ-ერთმა ყველაზე კომპეტენტურმა და ცნობილმა საფეხბურთო აგენტმა კლაუდიო პასკუალინიმ: „ჩემი გამოცდილება მკარნახობს, რომ კასანოს „რომასთან" კონტრაქტის გახანგრძლივება ძალიან გაუჭირდება და იგი ალბათ „იუვენტუსში" გადავა".

ახლა ისევ „ინტერს" დავუბრუნდეთ. მილანელთა სპორტულ დირექტორ მარკო ბრანკას თქმით, საცაა, გუნდი ხუან სებასტიან ვერონს ბოლომდე გამოისყიდის. „ნეროაძურის" 30 წლის არგენტინელის შენარჩუნება უნდა და „ჩელსისთან" მოლაპარაკება გადამწყვეტ ფაზაში შედის. წესით, ყველაფერი რამდენიმე დღეში უნდა გადაწყდეს.

გარდა ამისა, ბრანკამ ემრე ბელოზოღლუს ტრანსფერზეც ისაუბრა. მოგეხსენებათ, თურქი „სან სიროს" დატოვებას აპირებს. მას რამდენიმე ინგლისური კლუბი ეპატიჟება. „ინტერის" სპორტულ დირექტორს მათი ვინაობა არ დაუკონკრეტებია, მაგრამ გავრცელებული ცნობით, 24 წლის ნახევარმცველს „მანჩესტერი", „ლივერპული", „არსენალი" და „ნიუკასლი" უტრიალებენ.

მარკო ბრანკა: „ჩვენ ინგლისიდან რამდენიმე წინადადება მივიღეთ. ემრეს შეძენა დიდ კლუბებს სურთ. ახლა სიტუაციას კარგად შევაფასებთ და გადაწყვეტილებას ამის მერე მივიღებთ".

**გიორგი ძაძამიძე**

# ხუანდეს ხუშტურები

## სევილია ყველაფერს მოიგებს

„**სევილიას**" ახალი დამრიგებელი ჰყავს — „დეპორტივოში" გადაბარგებული ხოაკინ კაპაროსის ნაცვლად ანდალუზიურ კლუბს ხუანდე რამოსი უთავკაცებს. რამოსი, რომელმაც „სევილიასთან" ხელი ერთწლიან კონტრაქტზე მოაწერა, წარსულში სხვა ანდალუზიური გუნდების — „მალაგასა" და „ბეტისის" მწვრთნელიც გახლდათ.

„ეს ჩემი კარიერის ერთ-ერთი შესანიშნავი ეპიზოდია. „სევილია" ბოლო წლებში ძალიან მომძლავრდა და, იმედი მაქვს, შესანიშნავი მომავალი ექნება. მეც და ჩემი შეგირდებიც შესაფერისი ჯილდოების მიღწევისთვის ასპროცენტიანი თავდადებით ვიშრომებთ" — აღნიშნა მან ჟურნალისტებთან საუბარში.

ხუანდე რამოსს ახალ კლუბში ფიზმომზადების მწვრთნელი რამონ ორეიანა და მეკარეთა დამრიგებელი პაკო ლეალი დაეხმარებიან, ხალხი, რომელთაც ძველმა თავკაცმა ხოაკინ კაპაროსმა „დეპორტივოში" უხმო, თუმც მშობლიური გუნდის ერთგულმა ანდალუზიელებმა ისევ „სევილიაში" დარჩენა ამჯობინეს.

ხუანდე რამოსი კი ოდინდელ რეკორდთა გაუმჯობესებას აპირებს:

„ქედს ვიხრი კაპაროსის წინაშე. მან „სევილიას" საქვეყნოდ გაუთქვა სახელი, თუმც ჩვენი შტაბი მიღწეულ შედეგებზე არ გაჩერდება. მომავალ სეზონში სამი დიდი ჯილდოს მონადირებისთვის ვიბრძოლებთ — არ გამოვრიცხავ, პრიმერადივიზიონი, უეფას თასი და კოპა დელ რეი ერთად მოვიგოთ".

საშუალო გაქანების კლუბის მწვრთნელის განცხადებაც ასეთი უნდა...

**ლადო ხომერიკი**



ხუანდე რამოსი „სევილიას" ახალი მწვრთნელია

# სკამიდან ადექი, სესარ!

## რეალში სათადარიგო სარაგოსაში იპირველებს



სესარ სანჩესი

**34 წლის** სესარ სანჩესი, მადრიდის „რეალის" ექსმეკარე ამიერიდან არაგონულ „სარაგოსაში" ითამაშებს. ვეტერანმა გოლკიპერმა ახალ გუნდთან გუშინ გააფორმა სამწლიანი კონტრაქტი.

„მიუხედავად ასაკისა, თავს ჩინებულად ვგრძნობ და მინდა, „სარაგოსას" ინჩასები, რაც შეიძლება, მალე დარწმუნდნენ ჩემს სიძლიერეში" — განაცხადა სესარმა პრეზენტაციაზე.

მოგეხსენებათ, სესარის კარიერა „ვალიადოლიდში" დაიწყო, ხოლო ბოლო ხუთი სეზონის განმავლობაში „სანტიაგო ბერნაბეუზე" თამაშობდა, იკერ კასილიასის შემცვლელად.

„მადრიდის „რეალიდან" იმედგაცრუებული არ წამოვსულვარ. „ბერნაბეუზე" პირველი ორი სეზონი ჩინებული მქონდა. მართალია, შემდეგ სათადარიგოებში ვიყავი, მაგრამ ამ დიად კლუბში ყოფნამ ბევრი რამ შემძინა, რისთვისაც „რეალის" მადლიერი ვარ. მადრიდში მიღებულ გამოცდილებას „სარაგოსას" გამარჯვებებისთვის გამოვიყენებ" — ამბობს მეკარე, რომელიც „ლა რომარედაზე" ყოველგვარი სატრანსფერო ორომტრიალის გარეშე გადავიდა — „რეალიდან" წასვლის მერე სესარ სანჩესი თავისუფალი აგენტი გახლდათ და არაგონელებმაც მუქთად ჩაიგდეს ხელში.

„სათადარიგოებში ყოფნა დამთავრდა, ახლა მოედანზე ოდენ პირველობას ვაპირებ".

**ლადო ხომერიკი**

*ჰოლანდიელი მასწავლებლისა და მოწაფის, რონალდ კუმანისა და ბუდევინ ზენდენის გზები შესაძლოა, პორტუგალიურ „ბენფიკაში" გადაიკვეთოს. ლუზიტანიური სპორტული მედიის ცნობით, „ბენფიკას" ამჟამინდელი თავკაცი ინგლისური „მიდლსბროსა" და ჰოლანდიის ნაკრების ნახევარმცველის შეძენით სერიოზულადაა დაინტერესებული*

# მოწაფე და მასწავლებელი

## კუმანმა ზენდენს მიუკაკუნა

**შეგახსენებთ,** რომ მათი თანამშრომლობა უკვე შედგა „ბარსელონაში". მაშინ, 1998-99 წლების პრიმერაში, ბუდევინ ზენდენი „კამპ ნოუზე" თამაშობდა, ხოლო კუმანი მთავარ მწვრთნელ ლუის ვან გაალის თანაშემწე იყო.

„მიდლსბროს" ნიდერლანდელმა ფეხბურთელმა „ბარსას" მაისურით სამი სეზონი გაატარა, თუმც სასურველი თამაში ვერც „კამპ ნოუზე" აჩვენა და შემდეგ ვერც „ჩელსის" „სტემფორდ ბრიჯზე".

მერე კი ახალი ალბიონური გუნდის შემადგენლობაში მეტოქეებს ოდინდელი, „პსვ ეინდჰოვენის" ეპოქის მსგავსი სიძლიერით დაატყდა თავს და შესაბამისად, ჰოლანდიის ნაკრებსაც დაუბრუნდა და ძველი მასწავლებლის, რონალდ კუმანის ყურადღებაც ამად მიიპყრო.



ბუდევინ ზენდენი „ბენფიკაში" მიიწვიეს

„ბენფიკასთან ახლა სატრანსფერო მოლაპარაკებას ვაწარმოებთ. ვნახოთ, უახლოეს დღეებში რა მოხდება. ისე კი ჩემ შვილს პორტუგალიური ფეხბურთი ძალიან მოსწონს" — განუცხადა ლისაბონელ ჟურნალისტებს პიერ ზენდენმა, ბუდევინ ზენდენის მამამ და საფეხბურთო აგენტმა.

„ბენფიკას" გარდა, ზენდენის ხელში ჩაგდება სხვა კლუბებსაც სურთ — ჰოლანდიური „პსვ ეინდჰოვენი" და „ალკმაარი", ინგლისური „ლივერპული" და „ნიუკასლი".

მაგრამ, თუ ზენდენი მაინც „ბენფიკაში" გადავიდა, იქ კიდევ ერთი ძველი ბარსელონელი, სიამო საბროსა დახვდება.

**ლადო ხომერიკი**



სტივ არჩიბალდი



რომარიო

# გოლ!

## მაინც რა ხალხია ეს თავდამსხმელები?

**ურჩხული** კრისტიან ვიერით დაწყებული, რომარიოთი და ზლატან იბრაჰიმოვიჩით დამთავრებული, ყველანი ამბიციურები და ეგოისტები არიან. ბრაზილიელი ხომ საერთოდ შორს მიდის და თავისი ღამის კლუბის ტუალეტში კონკურენტების კარიკატურები აქვს გამოკრული. ორი თვის წინ, როდესაც 39 წლის რომარიომ გამოაცხადა, რომ სანაკრებო ფეხბურთს ეთხოვება, მისადმი მიძღვნილი საღამოსა და დითირამბების მიუხედავად, თავი ვერ შეიკავა და განაცხადა, სხვა ფეხბურთელები ტექნიკურად ძალიან სუსტები არიანო.

საინტერესოა, რომ ევერტონელ ჯეიმს ბიტის ბავშვობიდან ასწავლიდნენ, პასის დამგვიანებელი ან არასწორედ ჩამწოდებელი თანაგუნდელის გამოლანძღვის ხელოვნებას. ეს თურმე ახალგაზრდის თავდამსხმელად ჩამოყალიბების ერთ-ერთი მეთოდია, ისევე, როგორც იმის ჩიჩინი, რომ რაც უფრო ძლიერები არიან შენი თანაგუნდელები, მით უფრო ეგოისტი უნდა იყო შენ.

არსებობს ასეთი წიგნი „გოლი“, რომლის ავტორია ჯეისონ ტომასი და რომელშიაც „ბარსელონას“ ყოფილი თავდამსხმელი სტივ არჩიბალდი ამბობს:

„თანაგუნდელების მაღალი დონე თავდამსხმელისთვის შესაძლოა, მართლაც დიდი პრობლემა გახდეს, ვინაიდან, რაც უფრო კარგად თამაშობს ის, ვინც წესით პასებით შენ უნდა გამარაგებდეს, მით მეტად ითხოვს ბურთს უკან. ზოგიერთ ფორვარდს არც ესმის, როგორ უნდა შეუმციროს შედეგიანობა მაღალი კლასის ფეხბურთელებთან ერთად თამაშმა. მოკლედ, თუ გინდა თანაგუნდელები, როგორც თავდამსხმელს სწორად მოგემსახურონ, რაღაც-რაღაცები უნდა მოითხოვო და ხალხთან კარტის გახსნისა არ უნდა შეგეშინდეს“.

შემდეგ არჩიბალდი ამბობს, რომ ვარსკვლავის ერთ-ერთი აუცილებელი თვისება თავისთვისა და თანაგუნდელისთვის სწორი მდგომარეობის შექმნაა.

ამასობაში კი გავიხედ-გამოვიხედოთ და დავინახავთ, რომ ლივერპულელმა ფრანგმა ჯიბრილ სისემ ზურგზე ანგელოზის ფრთები ამოისვირინგა, აქაოდა, სწორ მიმართულებას ზეციური ძალები მაძლევენო, ხოლო ხორხე ვალდანომ გაიხსენა, როგორ ნახა პირველად 17 წლის რაული და როგორ გააოცა მისმა ქედმაღლობამ.

მაგრამ ცხოვრება მხოლოდ ქედმაღლობისგან და სიამოვნებებისგან რომ არ შედგება? მაგალითად, ერთი გოლის გასატანად თითოეულ თავდამსხმელს შესაძლოა, ათი უნაყოფო გარბენა დასჭირდეს და მისი ეს გარჯა ვერც ვერავინ შენიშნოს და დააფასოს. მერედა, როდესაც ბურთი თავდამსხმელთანაა, ის უფრო მეტს აცილებს, ვიდრე გააქვს, რამაც არ უნდა დათრგუნოს. მაგალითად, ერთხელ, როცა დიდ გაბრიელ ბატისტუტას საშინელი უგოლობის პერიოდი დაუდგა, მან განაცხადა:

„ჩემი პასუხი მარტივია, შეხედეთ ბოლო ექვსი წლის განმავლობაში რა შედეგიც მაქვს“.

ხშირი ან რაღაც პერიოდში მუდმივი წარუმატებლობა წარბშეუხრელობას მოითხოვს.

კრისტიან ვიერი: „შეიძლება ერთი მეტრიდანაც კი ავაცილო... გოლების გატანა ვიცი, მაგრამ უმარტივესი მდგომარეობიდანაც ამიცილებია. ეგაა, აცილებულ გოლებზე არ ვფიქრობ“.

აცილების მიზეზი თავდამსხმელებს დარტყმის წინ კარის დაუბრკოლებელი დანახვა სჭირდებათ, რაც შეიძლება მყისიერად ვერ მოახერხონ და შესაბამისად, ბურთის დამუშავება, ფეხიდან ფეხზე გადატანა დასჭირდეთ. ეს კი ხელსაყრელი წამის ხელიდან გაშვებას ნიშნავს. ნამდვილი ნიჭით დაჯილდოვებული ფორვარდი კი ალღოს ეყრდნობა და პირდაპირ არტყამს. ასეთ დროს ფიქრი ურევია

ტომასის წიგნში ძველი მიდლსბროელის, მალკოლმ კრისტის პრობლემებზეც არის მოთხრობილი და მოყვანილია ისტორია, თუ რა უპასუხა კრისტიმ ფსიქოლოგს, როდესაც მან საგოლე მომენტის ხელიდან გაშვებისას დაუფლებული გრძნობის აღწერა სთხოვა. კრისტიმ მიუგო:

„მახსენდება შიში, რომელიც მეხუტება — ღვთის გულისთვის, მალკოლმ, როგორ აცილე ეს დარტყმა“

ფსიქოლოგმა კრისტის ყოველი დარტყმის დროს სიტყვა გოლის დაძახება დაავალა.

პრობლემაც მოგვარდა.

**ჟურნალი CHAMPIONS**

**გაგრძელება იქნება**

| მსოფლიოს 15 საუკეთესო თავდამსხმელი ჟურნალ CHAMPIONS-ის ვერსიით | სისწრაფე | თავით თამაში | ფანტაზია | წამის გრძნობა | გოლის ალღო | მოძრაობა | ფიზმომზადება | პოზიციის პოვნა | დაბოლოება | ერთი ერთზე | ტექნიკა | კავშირი | ბურთის დაჭერა | დარტყმის ტრაექტორია | გუნდური თამაში | გამძლეობა | დარტყმის ძალა | დარტყმის სიზუსტე |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| რუუდ ვან ნისტელროი | | ● | | ● | ● | ● | ● | ● | ● | ● | | | ● | | ● | | | ● |
| ადრიანო | | | ● | | | | ● | ● | | | ● | | | ● | ● | | ● | |
| როი მაკაი | ● | ● | | ● | ● | ● | | ● | ● | ● | ● | | | | ● | ● | ● | ● |
| ანდრეი შევჩენკო | ● | ● | | ● | ● | ● | | ● | ● | ● | ● | ● | | ● | ● | | ● | ● |
| სილვენ ვილტორდი | ● | | ● | | ● | | ● | | | | ● | ● | | | ● | | ● | |
| დიდიე დროგბა | | ● | | | | | ● | | | | | ● | | | ● | ● | ● | |
| ტიერი ანრი | ● | | ● | ● | ● | ● | ● | ● | ● | ● | ● | ● | | ● | ● | ● | | ● |
| ობაფემი მარტინსი | ● | | | | | | | ● | | | ● | | | | | | | ● |
| ერნან კრესპო | | | | | ● | ● | | | ● | | ● | | | | ● | | | ● |
| სამუელ ეტოო | ● | | ● | ● | | ● | | ● | ● | ● | ● | ● | | | ● | | | |
| რაული | | | ● | ● | | ● | | | ● | | ● | ● | | | | ● | | ● |
| იან ვენეგოორ ოფ ჰესელინკი | | ● | | | | | ● | ● | | | | ● | ● | | ● | ● | ● | |
| მილან ბაროში | ● | | ● | | | ● | ● | ● | | | ● | | | | ● | ● | | |
| ზლატან იბრაჰიმოვიჩი | | ● | ● | | | ● | ● | | | | ● | | ● | ● | | | | |

# ფიფას კონფედერაციის თასი 2005
## გერმანია. 15–29 ივნისი



ამ ბურთით მსოფლიოს ჩემპიონატზეც ითამაშებენ

# გახსოვთ მარკ-ვივიენ ფოე?
## მათ ახსოვთ: კამერუნელიც და მუნდიალიც

**თითქოს** გუშინ იყო, კონფედერაციათა თასმა კამერუნელი მარკ-ვივიენ ფოე რომ შეიწირა და რომლის სიკვდილიც თანამედროვე კომუნიკაციათა საშუალებით მთელმა მსოფლიომ პირდაპირ ეთერში იხილა. მაშინ ისეთი მოსაზრებაც გამოითქვა, ეგებ ტურნირი შევწყვიტოთო, მაგრამ თამაში მაინც გაგრძელდა და აგერ დღეს კონფედერაციათა თასის მორიგი გათამაშებაც იწყება.

შეჯიბრის რაობა მოკლედ გავიხსენოთ: მას ფიფა ატარებს, მონაწილენი კი მსოფლიოსა და კონფედერაციათა ჩემპიონები და ერთიც მასპინძელი გუნდია. თავად ტურნირი კი ასეთი წარმომადგენლობის მიუხედავად, დიდი პრესტიჟულობით ვერ დაიკვეხნის, თუმცალა ზაფხულის უქმობის ჟამს, ხალხს სანაკრებო ფეხბურთს ახსენებს.

ახლა კი, როცა სავალდებულო შესავალი მოვითავეთ, უშუალოდ დღევანდელი მატჩების ანონსები შეგვიძლია შემოგთავაზოთ. დღეს **A** ჯგუფის თამაშებია, არგენტინა ტუნისს ხვდება, გერმანია კი ავსტრალიას უმასპინძლებს.

გერმანელებისთვის ეს შეჯიბრი ერთგვარი რეპეტიციაც იქნება გაისად სამასპინძლო მსოფლიოს ჩემპიონატის წინ. ისიც ცხადია, რომ შეჯიბრის მოგებით დაწყებაც ბევრს ნიშნავს და გერმანელებს ამ თვალსაზრისით წილისყრამაც გაუმართლა — ბუნდესნაკრების პირველი მეტოქე ჯგუფის აშკარად უსუსტესი ავსტრალიაა.

მატჩის წინ გერმანელთა მწვრთნელმა იურგენ კლინსმანმა თქვა: „ჩვენი სათამაშო ფილოსოფია მარტივია. ჩვენ უნდა შეუტიოთ, ხოლო იმასაც თუ გავითვალისწინებთ, როგორი ძლიერი და სწრაფი ფეხბურთელები გვყავს, ეს არ უნდა გავიჭირდეს. ათი თვის განმავლობაში გუნდი ამხანაგურ მატჩებში ხვეწდა ტაქტიკას. შეიძლება ითქვას, ახლა პირველად უნდა გამოჩნდეს ნამდვილ შეჯიბრში, თუ რას მივაღწიეთ და რა ვისწავლეთ. ამიტომ, თუ ჩვენი გულშემატკივრები რაიმე მცირე შეცდომას აღმოაჩენენ ჩვენს თამაშში, ნუ ინერვიულებენ, მსოფლიოს ჩემპიონატამდე ყველა ხარვეზის აღმოფხვრის დრო კიდევ გვრჩება. მთავარია, რომ ფეხბურთელები საკუთარ თავში და შესაძლებლობებში დარწმუნებულები არიან".



იურგენ კლინსმანის
ოფიციალური სანაკრებო დებიუტი დღეს შედგება

15 ივნისი. 20.00. კიოლნი
არგენტინა — ტუნისი
15 ივნისი. 23.00. ფრანკფურტი
გერმანია — ავსტრალია
18 ივნისი. 20.00. კიოლნი
გერმანია — ტუნისი
18 ივნისი. 22.45. ნიურნბერგი
ავსტრალია — არგენტინა
21 ივნისი. 22.45. ლაიპციგი
ავსტრალია — ტუნისი
21 ივნისი. 22.45. ნიურნბერგი
არგენტინა — გერმანია

### ნახევარფინალი

25 ივნისი. 20.00. ნიურნბერგი
**A1 - B2**

### მატჩი III ადგილისთვის

29 ივნისი. 19.45. ლაიპციგი

# A ჯგუფი

## არგენტინა

მეკარეები

| | | |
|---|---|---|
| 1 | ლეონარდო ფრანკო | ატლეტიკო, ესპანეთი |
| 12 | ხერმან ლუქსი | რივერ პლეიტი |
| 23 | ვილფრედო კაბალიერო | ელჩე, ესპანეთი |

მცველები

| | | |
|---|---|---|
| 2 | ვალტერ სამუელი | რეალი, ესპანეთი |
| 4 | ხავიერ ძანეტი | ინტერი, იტალია |
| 6 | გაბრიელ ჰაინცე | მანჩესტერი, ინგლისი |
| 13 | გონსალო როდრიგესი | ვილიარეალი, ესპანეთი |
| 14 | გაბრიელ მილიტო | სარაგოსა, ესპანეთი |
| 15 | დიეგო პლასენტე | ლევერკუზენი, გერმანია |
| 16 | ფაბრიციო კოლოჩინი | დეპორტივო, ესპანეთი |

ნახევარმცველები

| | | |
|---|---|---|
| 3 | ხუან პაბლო სორინი | ვილიარეალი, ესპანეთი |
| 5 | ესტებან კამბიასო | ინტერი, იტალია |
| 8 | ხუან რომან რიკელმე | ვილიარეალი, ესპანეთი |
| 10 | პაბლო აიმარი | ვალენსია, ესპანეთი |
| 17 | ლუკას ბერნარდი | მონაკო, საფრანგეთი |
| 19 | მაქსი როდრიგესი | ესპანიოლი, ესპანეთი |
| 20 | მარტინ დემიკელისი | ბაიერნი, გერმანია |

თავდამსხმელები

| | | |
|---|---|---|
| 7 | კარლოს ტევესი | კორინთიანსი, ბრაზილია |
| 9 | ხავიერ სავიოლა | მონაკო, საფრანგეთი |
| 11 | სეზარ დელგადო | კრუზ ასული, მექსიკა |
| 18 | მარიო სანტანა | პალერმო, იტალია |
| 21 | ლუჩანო ფიგეროა | ვილიარეალი, ესპანეთი |
| 22 | ლუჩანო გალეტი | სარაგოსა, ესპანეთი |

მწვრთნელი: ხოსე პეკერმანი

## ავსტრალია

მეკარეები

| | | |
|---|---|---|
| 1 | მარკ შვარცერი | მიდლსბრო, ინგლისი |
| 12 | მაიკლ პეტკოვიჩი | ტრაბზონი, თურქეთი |
| 18 | ჟელკო კალაჩი | პერუჯა, იტალია |

მცველები

| | | |
|---|---|---|
| 2 | კევინ მუსკატი | მელბურნი |
| 3 | კრეიგ მური | უგუნდოდ |
| 4 | ლუკას ნაილი | ბლექბერნი, ინგლისი |
| 5 | ტონი ვიდმარი | კარდიფ სიტი, უელსი |
| 6 | ტონი პოპოვიჩი | კრისტალ პალასი, ინგლისი |
| 17 | ჯონ მაკკეინი | ნაციონალი, რუმინეთი |
| 20 | ლიუბო მილიჩევიჩი | თუნი, შვეიცარია |

ნახევარმცველები

| | | |
|---|---|---|
| 7 | ბრეტ ემერტონი | ბლექბერნი, ინგლისი |
| 8 | იოსიპ სკოკო | გენჩლერი, თურქეთი |
| 10 | ტიმ ჩეჰილი | ევერტონი, ინგლისი |
| 14 | საიმონ კოლოზიმო | პერთი |
| 15 | ჯეისონ კულინა | ტვენტე, ჰოლანდია |
| 16 | ლუკ უილკშირი | ბრისტოლი, ინგლისი |
| 22 | არჩი ტომპსონი | მელბურნი |
| 21 | აჰმად ელრიხი | ბუსანი, სამხრეთ კორეა |
| 23 | მილე სტერიოვსკი | ბაზელი, შვეიცარია |

თავდამსხმელები

| | | |
|---|---|---|
| 9 | მარკ ვიდუკა | მიდლსბრო, ინგლისი |
| 11 | სკოტ ჩიპერფილდი | ბაზელი, შვეიცარია |
| 13 | დავიდ ზდრილიჩი | სიდნეი |
| 19 | ჯონ ალოიზი | ოსასუნა, ესპანეთი |

მწვრთნელი: ფრენკ ფარინა

## გერმანია

მეკარეები

| | | |
|---|---|---|
| 1 | ოლივერ კანი | ბაიერნი |
| 12 | იენს ლემანი | არსენალი, ინგლისი |
| 23 | ტიმო ჰილდებრანდი | შტუტგარტი |

მცველები

| | | |
|---|---|---|
| 2 | ანდრეას ჰინკელი | შტუტგარტი |
| 3 | არნე ფრიდრიხი | ჰერტა |
| 4 | რობერტ ჰუთი | ჩელსი, ინგლისი |
| 5 | პატრიკ ოვომოიელა | არმინია |
| 16 | თომას ჰიცლშპერგერი | ასტონ ვილა, ინგლისი |
| 17 | პერ მერტესაკერი | ჰანოვერი |
| 21 | კრისტიან შულცი | ვერდერი |

ნახევარმცველები

| | | |
|---|---|---|
| 6 | მარკო ენგელარდტი | კაიზერსლაუტერნი |
| 7 | ბასტიან შვაინსტაიგერი | ბაიერნი |
| 8 | ტორსტენ ფრინგსი | ვერდერი |
| 10 | სებასტიან დაისლერი | ბაიერნი |
| 13 | მიხაელ ბალაკი | ბაიერნი |
| 15 | ფაბიან ერნსტი | ვერდერი |
| 18 | ტიმ ბოროვსკი | ვერდერი |
| 19 | ბერნდ შნაიდერი | ლევერკუზენი |

თავდამსხმელები

| | | |
|---|---|---|
| 9 | მაიკ ჰანკე | ვოლფსბურგი |
| 11 | თომას ბრდარიჩი | ვოლფსბურგი |
| 14 | ჯერალდ ასამოა | შალკე |
| 20 | ლუკაშ პოდოლსკი | კიოლნი |
| 22 | კევინ კურანი | შალკე |

მწვრთნელი: იურგენ კლინსმანი

## ტუნისი

მეკარეები

| | | |
|---|---|---|
| 1 | ალი ბუმნიჟელი | კლუბ აფრიკანი |
| 16 | ხალედ ფადელი | დიარბაქირი, თურქეთი |
| 22 | ჰანდი კასარაუი | ესპერანსი |

მცველები

| | | |
|---|---|---|
| 2 | ალადინ იაია | სენტ ეტიენი, საფრანგეთი |
| 4 | ვისემ აბდი | სფაქსიენი |
| 6 | ჰატემ ტრაბელსი | აიაქსი, ჰოლანდია |
| 15 | რადი ჯაიდი | ბოლტონი, ინგლისი |
| 19 | ანის აიარი | სამსუნი, თურქეთი |
| 20 | კლეიტონი | ესპერანსი |
| 23 | ამირ ჰაჯ-მასუდი | სფაქსიენი |

ნახევარმცველები

| | | |
|---|---|---|
| 7 | იმედ მჰეჯები | ნანტი, საფრანგეთი |
| 8 | მეჰდი ნაფტი | ბირმინგემი, ინგლისი |
| 10 | კეის გოდბენე | სამსუნი, თურქეთი |
| 12 | ჯოჰარ მნარი | ნიურნბერგი, გერმანია |
| 14 | ადელ ჩედლი | ისტრი, საფრანგეთი |
| 18 | სლიმ ბენაშური | პსჟ, საფრანგეთი |
| 21 | ისამ ჟომაა | ესპერანსი |

თავდამსხმელები

| | | |
|---|---|---|
| 3 | კარიმ ესედირი | ტრომსიო, ნორვეგია |
| 5 | ზიად ჯაზირი | გაზიანთეფი, თურქეთი |
| 9 | ჰეიკელ გვემამდია | სფაქსიენი |
| 11 | სანტოსი | ტულუზი, საფრანგეთი |
| 13 | ჰამედ ნამუში | რეინჯერსი, შოტლანდია |
| 17 | ჩაუკი ბენ საადა | ბასტია, საფრანგეთი |

მწვრთნელი: როჟე ლემერი

# ფიფას კონფედერაციის თასი 2005

## გერმანია. 15–29 ივნისი



ორი წლის წინ კამერუნელი მარკ-ვივიენ ფოე მოედანზე ტრაგიკულად დაიღუპა

როგორც ამბობენ, კლინსმანის მთავარი თავსატეხი დღევანდელი მატჩის წინ ის არის, გამოცდილი ბერნდ შნაიდერი ათამაშოს სასტარტო შემადგენლობაში თუ უფრო გამოუცდელი პატრიკ ოვომოიელა.

ისიც მოსალოდნელია, რომ სასტარტოში იქნება ახალბედა ლუკაშ პოდოლსკი, ბასტიან შვაინსტაიგერს კი, რომელიც ასევე სასტარტოში ითამაშებს, ახალბედა აღარ ეთქმის.

ფრანკფურტში ჩასულმა ოზთა გუნდის ლიდერთაგანმა ჯონ ალოიზიმ კი უშიშრად თქვა, ჩვენ და გერმანელები თითქმის თანაბარ პოზიციაში ვართ. ისინი უფრო ძლიერებად კი ითვლებიან, მაგრამ არ დაგვავიწყდეს, რომ მთელი წელი ოფიციალური მატჩი არ ჩაუტარებიათო.

არგენტინას, გერმანიის მსგავსად, ოღონდ სხვა მიზეზით, მუნდიალზე თამაში უკვე განაღდებული აქვს და ხოსე პეკერმანიც ამ ტურნირში ახალგაზრდათა გამოცდას აპირებს. ამის გამოა, რომ ნაკრებში არ არიან ერნან კრესპო, რობერტო აიალა და კილი გონსალესი.

პეკერმანს არც „ბოკა ხუნიორსისა“ და „რივერ პლეიტის“ ფეხბურთელები წაუყვანია გერმანიაში („რივერის“ მეკარის გარდა), რაკი ამ გუნდებს ლიბერტადორესის თასზე ღირსეულად თამაშში არ შეშლოდათ ხელი. ანუ ნაკრებში არ არიან მეკარე რობერტო აბონდანსიერი, ლუის გონსალესი და ხავიერ მასკერანო.

არგენტინელთა შესუსტებული შემადგენლობა ერთგვარ იმედს უსახავს ტუნისელებს და ეგეც რომ არა, აფრიკელები ისედაც დიდი ბრძოლისთვის ემზადებიან.

— გარწმუნებთ, ჩვენ აქ მერვე გუნდად არ ჩამოვსულვართ. მალე დაინახავთ, რომ ფავორიტების გამწარებაც შეგვიძლია — დაიქადნა მათმა მწვრთნელმა როჟე ლემერმა, ვინაც გეხსომებათ, თავის დროზე საფრანგეთი ევროპის ჩემპიონი გახადა.

**კოტე კეკელია**



კონფედერაციის თასის ფინალი ფრანკფურტის „ვალდშტადიონზე“ გაიმართება



კონფედერაციის თასზე ევროპის პრესტიჟს ოტო რეჰაგელის (მარჯვნივ) საბერძნეთის ნაკრები დაიცავს

16 ივნისი. 20.00. ჰანოვერი
იაპონია — მექსიკა
16 ივნისი. 22.45. ლაიპციგი
ბრაზილია — საბერძნეთი
19 ივნისი. 20.00. ფრანკფურტი
საბერძნეთი — იაპონია
19 ივნისი. 22.45. ჰანოვერი
მექსიკა — ბრაზილია
22 ივნისი. 22.45. ფრანკფურტი
საბერძნეთი — მექსიკა
22 ივნისი. 22.45. კიოლნი
იაპონია — ბრაზილია

### ნახევარფინალი

26 ივნისი. 20.00. ჰანოვერი

**B1 - A2**

### ფინალი

29 ივნისი. 22.45. ფრანკფურტი

## B ჯგუფი

### მექსიკა

მეკარეები

1 ოსვალდო სანჩესი — გვადალახარა
12 მოიზეს მუნიოსი — მორელია
23 ხოსე კორონა — ტეკოსი

მცველები

2 აარონ გალინდო — კრუზ აზული
3 კარლოს სალკიდო — გვადალახარა
4 რაფაელ მარკესი — ბარსელონა, ესპანეთი
5 რიკარდო ოსორიო — კრუზ აზული
15 უგო სანჩესი — ტიგრესი
16 მარიო მენდესი — ტოლუკა
18 სალვადორ კარმონა — კრუზ აზული

ნახევარმცველები

6 ხერარდო ტორადო — რასინგი, ესპანეთი
7 ანტონიო ზინია — ტოლუკა
8 პაველ პარდო — ამერიკა
11 რამონ მორალესი — გვადალახარა
14 გონსალო პინედა — კრუზ აზული
20 ხუან პაბლო როდრიგესი — ტეკოსი
21 ხაიმე ლოზანო — უნამ პუმასი
22 ლუის პერესი — მონტერეი

თავდამსხმელები

9 ხარედ ბორგეტი — პაჩუკა
10 ომარ ბრავო — გვადალახარა
13 რაფაელ მარკეს ლუგო — მორელია
17 ხოსე ფრანსისკო ფონსეკა — კრუზ აზული
19 ალბერტო მედინა — გვადალახარა

მწვრთნელი: რიკარდო ლავოლპე

### ბრაზილია

მეკარეები

1 დიდა — მილანი, იტალია
12 მარკოსი — პალმეირასი
23 გომესი — პსვ ეინდჰოვენი, ჰოლანდია

მცველები

2 ბელეტი — ბარსელონა, ესპანეთი
3 ლუსიო — ბაიერნი, გერმანია
4 როკე ჟუნიორი — ლევერკუზენი, გერმანია
6 ჟილბერტო — ჰერტა, გერმანია
13 სისინიო — სან პაულუ
14 ჟუანი — ლევერკუზენი, გერმანია
15 ლუიზაო — ბენფიკა, პორტუგალია
16 ლეო — სანტოსი

ნახევარმცველები

5 ემერსონი — იუვენტუსი, იტალია
8 კაკა — მილანი, იტალია
10 რონალდინიო — ბარსელონა, ესპანეთი
11 ზე რობერტო — ბაიერნი, გერმანია
17 ჟილბერტო სილვა — არსენალი, ინგლისი
18 ჟუნინიო პერნამბუკანო — ლიონი, საფრანგეთი
19 რენატო — სევილია, ესპანეთი
22 ედუ — ვალენსია, ესპანეთი

თავდამსხმელები

7 რობინიო — სანტოსი
9 ადრიანო — ინტერი, იტალია
20 ჟულიო ბაპტისტა — სევილია, ესპანეთი
21 რიკარდო ოლივეირა — ბეტისი, ესპანეთი

მწვრთნელი: კარლოს ალბერტო პარეირა

### საბერძნეთი

მეკარეები

1 ანტონის ნიკოპოლიდისი — ოლიმპიაკოსი
12 კოსტას ხალკიასი — პორტსმუთი, ინგლისი
13 მიხალის სიფაკისი — ოფი

მცველები

2 იურკას სეიტარიდისი — დინამო, რუსეთი
3 ლუკაშ ვინტრა — პანათინაიკოსი
4 სტატის ტავლარიდისი — ლილი, საფრანგეთი
5 სოტირის კირიაკოსი — რეინჯერსი, შოტლანდია
14 ტაკის ფისასი — ბენფიკა, პორტუგალია
18 იანის გუმასი — პანათინაიკოსი
19 მიხალის კაპსისი — ბორდო, საფრანგეთი

ნახევარმცველები

6 ანგელოს ბასინასი — პანათინაიკოსი
7 თეოდოროს ზაგორაკისი — ბოლონია, იტალია
8 სტელიოს იანაკოპულოსი — ბოლტონი, ინგლისი
10 ვასილის ცარტასი — კიოლნი, გერმანია
16 პანტელის კაფესი — ოლიმპიაკოსი
20 გეორგიოს კარაგუნისი — ინტერი, იტალია
21 კოსტას კაცურანისი — აეკ
23 ვასილის ლაკისი — აეკ

თავდამსხმელები

9 ანგელოს ხარისტეასი — აიაქსი, ჰოლანდია
11 დიმიტრიოს პაპადოპულოსი — პანათინაიკოსი
15 ზისის ვრიზასი — სელტა, ესპანეთი
17 იოანის ამანატიდისი — ლაუტერნი, გერმანია
22 ფანის გეკასი — პანათინაიკოსი

მწვრთნელი: ოტო რეჰაგელი

### იაპონია

მეკარეები

1 სეიგო ნარაზაკი — ნაგოია გრამპუს ეითი
12 იოში დოი — ტოკიო
23 იოშიკაცუ კავაგუჩი — ჯუბილო ივატა

მცველები

2 მაკოტო ტანაკა — ჯუბილო ივატა
3 ტაკაიუკი ჩანო — ჯუბილო ივატა
5 ცუნეიასუ მიამოტო — გამბა ოსაკა
14 ალესანდრო სანტოს ალექსი — ურავა რედსი
17 აცუშირო მიურა — ვისელ კობე
20 კეისუკე ცუბოი — ურავა რედსი
21 აკირა კაჯი — ტოკიო
22 ტერუიუკი მონივა — იოკოჰამა მარინოსი

ნახევარმცველები

4 იასუჰიტო ენდო — გამბა ოსაკა
6 კოჯი ნაკატა — მარსელი, საფრანგეთი
7 ჰიდეტოში ნაკატა — ფიორენტინა, იტალია
8 მიცუო ოგასავარა — კაშიმა ანთლერსი
10 შუნსუკე ნაკამურა — რეჯინა, იტალია
15 ტაკაში ფუკუნიში — ჯუბილო ივატა
18 იუნიჩი ინამოტო — ვესტ ბრომვიჩი, ინგლისი
19 მასაში მოტოიამა — კაშიმა ანთლერსი

თავდამსხმელები

9 კეიჯი ტამადა — კაშივა რეისოლი
11 ტაკაიუკი სუძუკი — კაშიმა ანთლერსი
13 აცუში იანაგისავა — მესინა, იტალია
16 მასაში ოგურო — გამბა ოსაკა

მწვრთნელი: ზიკო

# წარმოგიდგენთ

## სხვა სახის ფსონებს გაეცნობით ადგილზე

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **იტალია. სერია B** | | | | | | |
| | | **16 ივნისი** | | | | | | |
| 22:30 | 290 | ასკოლი-ტორინო | 2.40 | 2.60 | 3.30 | 1.24 | 1.38 | 1.45 |
| 22:30 | 291 | ტრევიზო-პერუჯა | 2.50 | 2.60 | 3.00 | 1.27 | 1.36 | 1.39 |
| | | **18 ივნისი** | | | | | | |
| 22:30 | 292 | ტრიესტინა-ვიჩენცა | 1.95 | 2.80 | 4.30 | 1.14 | 1.34 | 1.69 |
| | | **რუსეთი** | | | | | | |
| | | **15 ივნისი** | | | | | | |
| 15:00 | 14 | ცსკა-სატურნი | 1.50 | 3.70 | 5.80 | 1.06 | 1.19 | 2.25 |
| 15:00 | 15 | ლოკომოტივი-ზენიტი | 1.75 | 3.20 | 4.60 | 1.13 | 1.26 | 1.88 |
| | | **სლოვაკეთი** | | | | | | |
| | | **15 ივნისი** | | | | | | |
| 19:30 | 24 | პეტრჟალკა-ტრენჩინი | 1.50 | 3.50 | 5.50 | 1.04 | 1.17 | 2.13 |
| 19:30 | 25 | ბ.ბისტრიცა-რუჟომბეროკი | 1.75 | 3.40 | 4.00 | 1.15 | 1.21 | 1.83 |
| 19:30 | 26 | სობოტა-პუხოვი | 2.45 | 3.10 | 2.55 | 1.36 | 1.24 | 1.39 |
| 19:30 | 27 | ტრნავა-დუბნიცა | 2.05 | 3.10 | 3.30 | 1.23 | 1.26 | 1.59 |
| 19:30 | 28 | ჟილინა-ინტერი | 1.45 | 3.80 | 6.00 | 1.04 | 1.16 | 2.32 |
| | | **დანია. სუპერლიგა** | | | | | | |
| | | **15 ივნისი** | | | | | | |
| 21:00 | 29 | ოლბორგი-კოპენჰაგენი | 2.45 | 3.10 | 2.55 | 1.36 | 1.24 | 1.39 |
| 21:00 | 30 | ორჰუსი-ბრიონდბიუ | 3.30 | 3.30 | 1.95 | 1.64 | 1.22 | 1.22 |
| 21:00 | 31 | ესბიერგი-მიდტიულანდი | 2.15 | 3.10 | 3.00 | 1.26 | 1.25 | 1.52 |
| 21:00 | 32 | ნორდსიელანდი-სილკებორგი | 2.05 | 3.30 | 3.20 | 1.26 | 1.24 | 1.62 |
| 21:00 | 33 | ჰერფიოლგე-ოდენსე | 3.80 | 3.40 | 1.85 | 1.79 | 1.24 | 1.19 |
| 21:00 | 34 | ვიბორგი-რანდერსი | 1.45 | 3.90 | 6.00 | 1.05 | 1.16 | 2.36 |
| | | **შვედეთი. ალსვენსკა** | | | | | | |
| | | **15 ივნისი** | | | | | | |
| 21:00 | 68 | გეფლე-ელფსბორგი | 2.70 | 3.30 | 2.30 | 1.48 | 1.24 | 1.35 |
| 21:00 | 69 | ჰალმსტადი-ჰეკენი | 1.80 | 3.50 | 4.00 | 1.18 | 1.24 | 1.86 |
| 21:00 | 70 | ჰამარბი-იორგრიტე | 1.70 | 3.50 | 4.30 | 1.14 | 1.21 | 1.92 |
| | | **16 ივნისი** | | | | | | |
| 21:00 | 71 | ლანდსკრონა-კალმარი | 2.45 | 3.20 | 2.70 | 1.38 | 1.28 | 1.46 |
| 21:00 | 72 | გიოტებორგი-სუნდსვალი | 1.55 | 3.50 | 5.60 | 1.07 | 1.21 | 2.15 |
| 21:00 | 73 | ასირისკა-ჰელსინგბორგი | 3.40 | 3.30 | 2.00 | 1.67 | 1.25 | 1.24 |
| 22:00 | 74 | მალმიო-იურგორდენი | 1.75 | 3.30 | 4.30 | 1.14 | 1.24 | 1.86 |
| | | **შვედეთი. სუპერეტა** | | | | | | |
| | | **16 ივნისი** | | | | | | |
| 21:00 | 83 | ნორჩიოპინგი-იორებრო | 1.70 | 3.40 | 4.00 | 1.13 | 1.19 | 1.83 |
| | | **17 ივნისი** | | | | | | |
| 21:00 | 84 | დეგერფორსი-ატვიდაბერგი | 2.20 | 3.20 | 2.75 | 1.30 | 1.22 | 1.47 |
| | | **ფინეთი** | | | | | | |
| | | **15 ივნისი** | | | | | | |
| 20:00 | 91 | ჰიკ-ჰაკა | 2.25 | 3.00 | 2.90 | 1.28 | 1.26 | 1.47 |
| 20:00 | 92 | კუოპიო-ინტერი | 2.85 | 3.10 | 2.25 | 1.48 | 1.25 | 1.30 |
| 20:00 | 93 | ტამპერე-როვანიემი | 1.35 | 4.00 | 7.00 | 1.00 | 1.13 | 2.54 |
| 20:00 | 94 | ტპ 47-იარო | 2.00 | 3.20 | 3.30 | 1.23 | 1.24 | 1.62 |
| 20:00 | 95 | ტურკუ-ლაჰტი | 2.20 | 3.20 | 2.90 | 1.30 | 1.25 | 1.52 |
| 20:00 | 96 | კტპ-მარიეჰამნი | 2.05 | 3.10 | 3.20 | 1.23 | 1.24 | 1.57 |
| | | **16 ივნისი** | | | | | | |
| 20:00 | 97 | მიუპა-ალიანსი | 1.70 | 3.40 | 4.50 | 1.13 | 1.23 | 1.93 |
| | | **ისლანდია** | | | | | | |
| | | **15 ივნისი** | | | | | | |
| 23:15 | 104 | აკრანესი-კეფლავიკი | 1.80 | 3.30 | 3.60 | 1.16 | 1.20 | 1.72 |
| 23:45 | 105 | ვალური-ჰაფნარფიორდური | 2.50 | 3.10 | 2.55 | 1.38 | 1.26 | 1.39 |
| | | **16 ივნისი** | | | | | | |
| 23:15 | 106 | ფილკირი-ფრამი | 1.80 | 3.30 | 3.90 | 1.16 | 1.23 | 1.78 |
| 23:15 | 107 | გრინდავიკი-რეიკიავიკი | 2.60 | 3.00 | 2.45 | 1.39 | 1.26 | 1.34 |
| 23:15 | 108 | თროტური-ვესტმანაეიარი | 2.55 | 3.10 | 2.50 | 1.39 | 1.26 | 1.38 |
| | | **ირლანდია** | | | | | | |
| | | **17 ივნისი** | | | | | | |
| 22:45 | 110 | ბრეი-კორკი | 3.80 | 3.20 | 1.80 | 1.73 | 1.22 | 1.15 |
| 22:45 | 111 | დროგედა-დუბლინი | 1.75 | 3.20 | 4.00 | 1.13 | 1.21 | 1.77 |
| 23:00 | 112 | შელბურნი-შემროკი | 1.55 | 3.50 | 5.00 | 1.07 | 1.18 | 2.05 |
| | | **18 ივნისი** | | | | | | |
| 22:30 | 113 | ლონგფორდი-დერი | 2.55 | 3.20 | 2.45 | 1.41 | 1.24 | 1.38 |
| 22:45 | 114 | ჰერპსი-უოტერფორდი | 2.45 | 3.20 | 2.55 | 1.38 | 1.24 | 1.41 |
| | | **აშშ** | | | | | | |
| | | **15 ივნისი** | | | | | | |
| 23:45 | 118 | ვაშინგტონი-ჩიკაგო | 2.30 | 3.00 | 2.75 | 1.30 | 1.25 | 1.43 |
| 23:45 | 119 | კოლორადო-ლოს ანჯელესი | 2.95 | 3.00 | 2.20 | 1.48 | 1.26 | 1.26 |
| | | **ურუგვაი** | | | | | | |
| | | **15 ივნისი** | | | | | | |
| 22:45 | 147 | მირამარი-ნასიონალი | 5.30 | 3.50 | 1.55 | 2.10 | 1.19 | 1.07 |
| | | **ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატი. ქალები.** | | | | | | |
| | | **15 ივნისი** | | | | | | |
| 21:30 | 238 | გერმანია-ფინეთი | 1.25 | 4.60 | 9.50 | 1.00 | 1.10 | 3.09 |
| | | **16 ივნისი** | | | | | | |
| 21:30 | 239 | შვედეთი-ნორვეგია | 2.25 | 3.20 | 2.80 | 1.32 | 1.24 | 1.49 |
| | | **ამხანაგური მატჩები** | | | | | | |
| | | **15 ივნისი** | | | | | | |
| 14:00 | 301 | ურავა-ბარსელონა | 5.50 | 3.60 | 1.50 | 2.17 | 1.17 | 1.05 |
| | | **კონფედერაციის თასი** | | | | | | |
| | | **15 ივნისი** | | | | | | |
| 20:00 | 175 | არგენტინა-ტუნისი | 1.30 | 4.20 | 8.00 | 1.00 | 1.11 | 2.75 |
| 23:00 | 176 | გერმანია-ავსტრალია | 1.35 | 4.00 | 7.00 | 1.00 | 1.13 | 2.54 |
| | | **16 ივნისი** | | | | | | |
| 20:00 | 177 | იაპონია-მექსიკა | 2.90 | 3.00 | 2.20 | 1.47 | 1.25 | 1.26 |
| 22:45 | 178 | ბრაზილია-საბერძნეთი | 1.45 | 3.60 | 6.50 | 1.03 | 1.18 | 2.31 |
| | | **ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი.(20).** | | | | | | |
| | | **15 ივნისი** | | | | | | |
| 19:30 | 189 | კანადა(20)-კოლუმბია(20) | 6.00 | 4.20 | 1.40 | 2.47 | 1.13 | 1.04 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19:30 | 190 | იაპონია(20)-ბენინი(20) | 2.20 | 3.00 | 2.90 | 1.26 | 1.25 | 1.47 |
| 19:30 | 191 | შვეიცარია(20)-ბრაზილია(20) | 5.00 | 3.60 | 1.55 | 2.09 | 1.18 | 1.08 |
| 22:30 | 192 | ავსტრალია(20)-ჰოლანდია(20) | 7.50 | 4.00 | 1.35 | 2.60 | 1.14 | 1.00 |
| 22:30 | 193 | იტალია(20)-სირია(20) | 1.20 | 5.00 | 10.00 | 1.00 | 1.07 | 3.33 |
| 22:30 | 194 | ნიგერია(20)-სამხ. კორეა(20) | 1.60 | 3.50 | 4.80 | 1.09 | 1.20 | 2.02 |

**იტალია. თასი**

**15 ივნისი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:45 | 207 | ინტერი-რომა | 1.80 | 3.20 | 4.10 | 1.15 | 1.25 | 1.79 |

**პოლონეთი. თასი**

**15 ივნისი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19:30 | 208 | ზაგლებე-ვისლა | 3.40 | 3.20 | 1.95 | 1.64 | 1.23 | 1.21 |
| 22:00 | 209 | ვროცლავი-ლეგია | 2.15 | 3.00 | 3.10 | 1.25 | 1.26 | 1.52 |

**ნორვეგია. თასი**

**15 ივნისი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20:00 | 210 | ფრედრიკსტადი-სანდეფიორდი | 1.50 | 4.30 | 5.00 | 1.11 | 1.15 | 2.31 |
| 20:00 | 211 | ვოლერენგა-ოსლო | 1.10 | 8.00 | 15.00 | 1.00 | 1.02 | 5.21 |
| 20:00 | 212 | ლილესტრიომი-მოსი | 1.20 | 5.50 | 10.00 | 1.00 | 1.07 | 3.54 |
| 20:00 | 213 | ჰიონეფოსი-ლინი | 5.00 | 4.30 | 1.50 | 2.31 | 1.15 | 1.11 |
| 20:00 | 214 | სტრიომსგოდსეტი-სტაბეკი | 3.10 | 3.70 | 1.90 | 1.68 | 1.17 | 1.25 |
| 20:00 | 215 | ოდ გრენლანდი-პორსს გრენლანდი | 1.40 | 4.50 | 6.00 | 1.06 | 1.13 | 2.57 |
| 20:00 | 216 | სტარტი-მანდალი | 1.20 | 6.00 | 10.00 | 1.00 | 1.07 | 3.75 |
| 20:00 | 217 | ბრინი-ტონსბერგი | 1.50 | 4.20 | 5.00 | 1.10 | 1.15 | 2.28 |
| 20:00 | 220 | ალესუნდი-ჰიოდი | 1.35 | 4.80 | 6.70 | 1.05 | 1.12 | 2.79 |
| 20:00 | 221 | ალტა-ტრომსიო | 6.00 | 4.80 | 1.35 | 2.66 | 1.10 | 1.05 |

**16 ივნისი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20:00 | 218 | ლოვ ჰამ-ბრანი | 10.00 | 5.50 | 1.20 | 3.54 | 1.07 | 1.00 |

**ბრაზილიის თასი**

**15 ივნისი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23:45 | 222 | პაულისტა-ფლუმინენსე | 2.30 | 3.10 | 2.70 | 1.32 | 1.24 | 1.44 |

**ლიბერტადორესის თასი**

**15 ივნისი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23:45 | 264 | სანტოსი-ატლეტიკო პრ | 1.30 | 4.20 | 8.00 | 1.00 | 1.11 | 2.75 |
| 23:45 | 265 | ტიგრესი-სან პაულუ | 1.70 | 3.50 | 4.00 | 1.14 | 1.19 | 1.86 |

**16 ივნისი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23:45 | 266 | რივერ პლეიტი-ბანფილდი | 1.50 | 3.50 | 5.50 | 1.04 | 1.17 | 2.13 |

ჩოგბურთი. კაცები. ნოტინგემი. ბალახი.

**15 ივნისი**

| | | | 1 | 2 |
|---|---|---|---|---|
| 13:00 | 293 | პრბატი-კარლსენი | 1.75 | 1.85 |
| 13:00 | 294 | დენტი-რეტერმაიერი | 1.20 | 3.00 |

ჩოგბურთი. კაცები

როზმალენი. ბალახი.

**15 ივნისი**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 13:00 | 295 | რობრედო-ბურგსმიულერი | 1.20 | 3.80 |
| 13:00 | 296 | ლოდრა-მატი | 1.60 | 1.90 |
| 13:00 | 297 | სოდერლინგი-კოლშრაიბერი | 1.30 | 3.00 |
| 13:00 | 298 | კორია-პერნიხი | 1.30 | 3.00 |

ჩოგბურთი. ქალები

როზმალენი. ბალახი.

**15 ივნისი**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 14:00 | 299 | კუკალოვა-შოული | 1.45 | 2.[illegible] |
| 14:00 | 300 | შონესი-გრენეფელდი | 1.65 | 2.[illegible] |


CROCO
BOOKMAKERS
კროკო

ისარგებლეთ კროკოს ახალი მომსახურებით

CROCO
TELCREDIT

10
42 00 24


**რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო). (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)**

| | | | |
|---|---|---|---|
| 12175 | არგენტინა-ტუნისი | 2.00 | 1.60 |
| 12176 | გერმანია-ავსტრალია | 1.90 | 1.70 |
| 12177 | იაპონია-მექსიკა | 1.90 | 1.70 |
| 12178 | ბრაზილია-საბერძნეთი | 2.00 | 1.60 |

**რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი**

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 15175 | არგენტინა-ტუნისი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15176 | გერმანია-ავსტრალია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15177 | იაპონია-მექსიკა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15178 | ბრაზილია-საბერძნეთი | 3.00 | 2.80 | 2.00 |

**ლუწი რაოდენობის გოლი გავა მატჩში თუ კენტი (0:0 ითვლება ლუწად)**

| | | ლუწი | კენტი |
|---|---|---|---|
| 17175 | არგენტინა-ტუნისი | 1.85 | 1.95 |
| 17176 | გერმანია-ავსტრალია | 1.85 | 1.95 |
| 17177 | იაპონია-მექსიკა | 1.85 | 1.95 |
| 17178 | ბრაზილია-საბერძნეთი | 1.85 | 1.95 |

**რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს**

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

| | | | |
|---|---|---|---|
| 14175 | არგენტინა-ტუნისი | 1.10 | 2.80 |
| 14176 | გერმანია-ავსტრალია | 1.10 | 2.80 |
| 14177 | იაპონია-მექსიკა | 2.00 | 1.65 |
| 14178 | ბრაზილია-საბერძნეთი | 1.20 | 2.60 |

| 1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო. | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 11175 | არგენტინა-ტუნისი | 1.55 | 15.0 | 30.0 | 3.5 | 5.0 | 11.0 | 20.0 | 11.0 | 11.0 |
| 11176 | გერმანია-ავსტრალია | 1.55 | 15.0 | 30.0 | 3.5 | 5.0 | 11.0 | 20.0 | 11.0 | 11.0 |
| 11177 | იაპონია-მექსიკა | 4.5 | 10.0 | 20.0 | 5.6 | 4.4 | 4.2 | 20.0 | 10.0 | 3.1 |
| 11178 | ბრაზილია-საბერძნეთი | 1.8 | 12.0 | 25.0 | 3.5 | 4.5 | 10.0 | 20.0 | 9.0 | 9.0 |

**ფრეს გარეშე (ძირ. დრო)**

| | | | |
|---|---|---|---|
| 16175 | არგენტინა-ტუნისი | 1.06 | 5.20 |
| 16176 | გერმანია-ავსტრალია | 1.06 | 5.20 |
| 16177 | იაპონია-მექსიკა | 2.00 | 1.55 |
| 16178 | ბრაზილია-საბერძნეთი | 1.15 | 3.45 |

**გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)**

| | | კი | არა |
|---|---|---|---|
| 13175 | არგენტინა-ტუნისი | 1.90 | 1.70 |
| 13176 | გერმანია-ავსტრალია | 1.90 | 1.70 |
| 13177 | იაპონია-მექსიკა | 1.90 | 1.70 |
| 13178 | ბრაზილია-საბერძნეთი | 1.90 | 1.70 |

# I ტაიმის შედეგი

| | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 10175 | არგენტინა-ტუნისი | 1.55 | 2.50 | 7.00 | 1.00 | 1.26 | 1.84 |
| 10176 | გერმანია-ავსტრალია | 1.55 | 2.50 | 7.00 | 1.00 | 1.26 | 1.84 |
| 10177 | იაპონია-მექსიკა | 3.60 | 2.00 | 2.55 | 1.28 | 1.49 | 1.12 |
| 10178 | ბრაზილია-საბერძნეთი | 1.70 | 2.30 | 6.00 | 1.00 | 1.32 | 1.66 |

**შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**



# პატარკაციშვილმა ქართული კალათბურთი ჩაიზე დაპატიჟა
## ოლიმპიადაზეც ეპატიჟება...

**გუშინწინ** თბილისში ჩამოსული ნაკრების ახალი მწვრთნელი გორდონ ჰერბერტი ქალაქის ერთ-ერთ ყველაზე მდიდრულ და ფეშენებელურ სახლს ესტუმრა. იქ ის ამ სახლისა და კიდევ ბევრი რამის მფლობელმა და ხელმძღვანელმა, ცნობილმა ბიზნესმენმა, მეცენატმა, სპორტულმა თუ მედია მაგნატმა მათ შორის საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა ბადრი პატარკაციშვილმა მიიწვია.

ჰერბერტთან ერთად გუშინ ყოფილ რატიშვილების სასახლეს, რომელიც დღეს პატარკაციშვილის მამულს წარმოადგენს, ქართული კალათბურთის „რეჟისორები“ და მოქმედნი პირნიც ესტუმრნენ. ფედერაციის პრეზიდენტთან და ვიცე-პრეზიდენტთან ერთად პატარკაციშვილის დღის ნადიმზე გენერალური მდივანი მერაბ რატიშვილი და ნბა-ში მოთამაშე „დუეტი“ — ნიკა ცქიტიშვილი და ზაზა ფაჩულიაც მივიდნენ. იქ იყო ასევე ზაზას მალულოკელი მწვრთნელი, თბილისში საწვრთნელი კემპის გასაძღოლად ჩამოსული სკიპ რობინსონი.

ზღაპრულ ეზოში გაშლილ მრგვალ მაგიდას ოლიმპიური კომიტეტის გენერალური მდივანი ემზარ ზენაიშვილი და ვეტერანი ჟურნალისტი ჯამლეტ ხუხაშვილიც უსხდნენ.

დღის 9 საათზე დაწყებული შეხვედრა მეგობრული ხიტების ელეგანტური აკომპანიმენტით მიმდინარეობდა. ვინდაც სადამო ყოფილიყო, პატარკაციშვილის სტუმრებს ფრინველთა ხმით გალობა მაინც არ მოაკლდებოდათ, რადგან მის მამულში ბლომად ცოცხლობს უცხო ჯიშის ფრინველი. შაშვები და ფარშევანგებიც არიან. ეს რომ ნახა, ფაჩულიას ამერიკელმა სტუმარმა რობინსონმა ბატონ ბადრის ხუმრობით უთხრა, ამ ბაღს თუ მილუოკიში გამატანთ, დარჩენილ ცხოვრებას თქვენი მოვალე ვიქნებიო.

რობინსონის სიტყვები იქით იყოს და, დღეს მგონი მთელი ქართული სპორტული სამყარო ბადრი პატარკაციშვილის მოვალეა. სანამ ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი გახდებოდა, პატარკაციშვილი არც მანამდე აკლებდა სპორტსმენებს ყურადღებას. ახლა კი, როცა მას ამის გაკეთებას სამსახურეობრივი მოვალეობაც ავალდებულებს, სპორტის აღორძინებას უფრო აქტიურად მოჰკიდა ხელი. გუშინდელი შეხვედრა იმის დასტურია, რომ პატარკაციშვილმა კალათბურთის, უფრო კი ეროვნული ნაკრების კეთილდღეობის საძირკველში მორიგი აგური ჩადო.

პირველი აგური ბატონმა ბადრიმ მაშინ ჩადო, როცა თბილისის „დინამოში“ დიდი ინვესტიცია მიიტანა და ეროვნული გუნდის ხორვატ თავკაც დრაჟენ ბრაიკოვიჩსაც საკუთარი ჯიბიდან უხდიდა ჯამაგირს. იმ საქმემ ვერ გაამართლა, ვერც „დინამო“ გახდა ჩემპიონი და ბრაიკოვიჩისეულმა ნაკრებმაც ციდან ვარსკვლავები ვერ წყვიტა. გუშინ პატარკაციშვილმა საბოლოოდ დააფიქსირა თავისი საკალათბურთო პოზიცია, როცა განაცხადა „დინამოსა“ და ნაკრებს შორის არჩევანში ამ უკანასკნელზე გავაკეთეო.



მერაბ რატიშვილი (მარცხნივ) და გორდონ ჰერბერტი



ნიკა ცქიტიშვილი

„ჩვენი ქვეყნის აღმასვლა გვაძლევს იმის საშუალებას, რომ სპორტზეც ვიფიქროთ — თქვა ბადრი პატარკაციშვილმა — მგონი, შეიქმნა იმის წინაპირობა, რომ სპორტშიც მივაღწიოთ წარმატებებს. ჯერჯერობით ბევრით ვერაფრით დავიკვეხნით, მაგრამ თავად ის სურვილი, რომელიც კალათბურთელებმა გამოხატეს, რომ სახელი გაუთქვან საქართველოს, მისასალმებელია. მე უფლება რა მაქვს, არ დავეხმარო ამ იდეას. ბატონო გორდონ, თქვენ რომ გენახათ ის ამბები, რაც თბილისში შარშან ხაფხულში ოლიმპიადაზე მოპოვებული ოქროს მედლების გამო ხდებოდა, არაფერს დაიშურებდით ასეთი სიხარულის განსაცდელად. ჩვენ სტიმული უნდა მივცეთ ეროვნულ ჩემპიონატს და ყველაფერი უნდა გავუკეთოთ ნაკრებს. ეროვნული გუნდია ხალხისთვის სიხარულის მომტანი და თუ კალათბურთელებიც ოლიმპიადაზე გავლენ, ჩემს მისიას შესრულებულად ჩავთვლი“.

პატარკაციშვილის დარად, ეროვნული ღირებულებები გამოარჩია გორდონ ჰერბერტმაც, რომელმაც პირობა დადო, რომ ყველაფერს გააკეთებს ჩვენი ნაკრების გასაძლიერებლად.

„მე და კიმ შილდსი, ჩემი მომავალი ასისტენტი, მზად ვართ, რომ მთელი ჩვენი გამოცდილება საქართველოს ნაკრების კეთილდღეობას მოვახმაროთ. პატრიოტული შემართებით უნდა განიმსჭვალოს თითოეული კალათბურთელი და ეს იქნება უდიდესი სტიმული. ჩვენ გავაკეთებთ ისეთ ნაკრებს, რომლითაც თქვენ იამაყებთ“ — ოპტიმისტურად დაასრულა სიტყვა ჰერბერტმა.

ორიოდ სიტყვით ზაზა ფაჩულიამ, ნიკა ცქიტიშვილმა, სკიპ რობინსონმა, ემზარ ზენაიშვილმა და ჯამლეტ ხუხაშვილმაც გამოხატეს თავიანთი კეთილგანწყობა და მერე ყველანი პატარკაციშვილმა ჭიქა ჩაიზე სასახლეში მიიწვია.

სანამ წავიდოდა, ბატონმა ბადრიმ ჟურნალისტებს ერთხელაც გვითხრა, რომ ეროვნული ნაკრების აღორძინებას სერიოზულად მოჰკიდა ხელი და მას მხარში ფინანსურადაც დაუდგება და მორალურადაც. უკვე მიმდინარეობს მოლაპარაკება ქალაქის მერიასთან, რათა სპორტის სასახლე ოლიმპიურ კომიტეტს გადმოეცეს — გვითხრა პატარკაციშვილმა — ეს რომ მოხდება, დარბაზი კეთილმოეწყობა და ეროვნულ გუნდს საკადრისი სარბიელი ექნება“.

**ირაკლი პერტაია**

***ბადრი კეთილაძის ფოტოები***



სკიპ რობინსონი და ზაზა ფაჩულია



ბადრი პატარკაციშვილი და ზესიკ ლიპარტელიანი



ზაზა ფაჩულია და ბადრი პატარკაციშვილი

# კემპის თბილისობა დასრულდა

## ზაზა და სკიპი რუსთავისკენ დაიძრნენ

**დღეს** ზაზა ფაჩულიას კემპის თბილისური ნაწილი დასრულდა. ორი დღის განმავლობაში 15-16 წლის ჭაბუკები გამოცდილი სპეციალისტისგან, ფაჩულიას მილუოკელ მწვრთნელ სკიპ რობინსონისგან ისმენდნენ — რჩევა-დარიგებებს და გულიანად ემზადებოდნენ.

ეს გახლავთ პირველი შემთხვევა, როცა ნბა-ს მოთამაშე თბილისში თავისი სახელობის კემპს ატარებს. ნბა-ს ვარსკვლავთა უმრავლესობას საკუთარი კემპები აქვთ, რომლებსაც ყოველწლიურად ატარებენ. ეს უფრო ლეგიონერებზე ითქმის. ნბა-ს თითქმის ყველა არაამერიკელი თავის სამშობლოში ამ ტიპის საწვრთნელ კემპებს აწყობს, რომელთა უმრავლესობაც ფასიანია.

ფაჩულიამ სკიპ რობინსონი საკუთარი ხარჯებით ჩამოიყვანა ამერიკიდან, კემპს კი სრულიად უსასყიდლოდ აწყობს. ზაზამ საქართველოს მასშტაბით მწვრთნელებს დაავალა ყველაზე გამორჩეული ბავშვების შერჩევა და მათ სრულიად უსასყიდლოდ ამ კემპში მონაწილეობის საშუალება მისცა.

და აი, ორდღიანი თბილისური ვარჯიშები დასრულდა. კემპის მორიგი გაჩერება რუსთავშია, სადაც ქიმიკოსთა დარბაზში 15 ივნისს სკიპ რობინსონი იქაურ ახალგაზრდებს აზიარებს ნაღდ კალათბურთთან. ქვემო ქართლიდან ზაზა და სკიპი ქუთაისში გაემგზავრებიან, სადაც დასრულდება კიდეც ეს საინტერესო და სასარგებლო ღონისძიება.

როგორც ზაზა ამბობს, მისი კემპი ტრადიციული გახდება, წლიდან წლამდე მოიმატებს მონაწილეთა რაოდენობა, მოწვეული მწვრთნელებიც უფრო და უფრო კომპეტენტურნი იქნებიან.

**ირაკლი პერტაია**

**გურამ დოლენჯაშვილის** *ფოტოები*











# ნჰლ-ში ზეინკლებს ელიან

*გიხაროდენ! სულ მალე ნჰლ-ს არენების მესვეურებს ზეინკლების გამოძახება მოუწევთ, რომელთაც გვარიანი ჯაფა დაადგებათ, რათა დაჟანგებული ბოქლომები გახსნან. თუმც ჩვენ უკვე იმდენი ხანია, ველით ნჰლ-ის აღორძინებას, რომ ამ პროცესსაც რამენაირად გავუძლებთ, ოღონდ ჩემპიონატი დაიწყოს. როგორც ჩრდილოამერიკიდან მოსული ბოლო ამბები ცხადყოფს, ლოკაუტის დღეები აშკარად დათვლილია.*

**გასულ** კვირაში ოთხი დღის განმავლობაში ლიგა და პროფკავშირი ინტენსიურ მოლაპარაკებას აწარმოებდნენ და, როგორც თავად მხარეების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, ამჯერადაც სერიოზული პროგრესი შეიმჩნევა.

ნჰლ-ის ვიცე-პრეზიდენტი ბილ დეილი:

„პროგრესს საკმაოდ ბევრ წვრილმან საკითხებში მივაღწიეთ, დანარჩენს კი მომდევნო კვირას განვიხილავთ".

როგორც ხედავთ, დეილიმ რაიმე განსაკუთრებული სიახლე არ გაგვიმხილა, მაგრამ თავისთავად ასეთი არაორაზროვანი პასუხი უკვე იმის საფუძველი გახდა, რომ სპეციალისტებს გარკვეული დასკვნები გაეკეთებინა. რადგან დეილიმ რაღაც წვრილმანი დეტალები ახსენა, ეს იმას ნიშნავს, რომ მთავარი პრობლემა, სახელფასო ზღვარი, უკვე გადაჭრილია. მით უმეტეს, რომ ხუთშაბათს გავლენიანმა კანადურმა გაზეთმა „გლობ ენდ მეილმა" სენსაციური ცნობა გამოაქვეყნა. გაზეთის ინფორმაციით, მხარეებმა უკვე მიაღწიეს კომპრომისს „ჭერის" შესახებ — დადგენილია ქვედა და ზედა ზღვარი, შესაბამისად 22-24 და 34-36 მილიონი დოლარი. დარჩა მხოლოდ სხვა ნაკლებად მნიშვნელოვანი დეტალების დაზუსტება.

მოგეხსენებათ, ქვედა ზღვართან ახლოს სახელფასო უწყისები ერთბაშად 5-6 კლუბს ჰქონდა, ახლა კი უეჭველად კიდევ რამდენიმე გუნდი მიუახლოვდება ამ ზღვარს და პირველ ყოვლისა ეს კანადური „ედმონტონი" და „კალგარი" იქნებიან.

რაც შეეხება ზედა ზღვარს, თუ გავიხსენებთ, რომ წინა სეზონებში იმავე „რეიჯერსის" და „დეტროიტის" ბიუჯეტი ლამის 80 მილიონს შეადგენდა, თავისთავად გასაგებია, რომ ახალი შეთანხმება სწორედ მდიდარ კლუბებს აზარალებს. თანაც, თუ გუნდს 29 მილიონზე მეტი ბიუჯეტი აქვს, მას აგრეთ წოდებული „ფუფუნების გადასახადის" გადახდაც მოუწევს, რომელიც არც მეტი, არც ნაკლები, ერთ ზედმეტ დახარჯულ დოლარზე ასევე ერთ დოლარს შეადგენს. ეს იმას ნიშნავს, რომ მდიდარი გუნდები ახლა გაცილებით ძუნწები გახდებიან და ასე იოლად აღარ გაანიავებენ დოლარებს.

გაზეთის თქმით, ამასთან დაკავშირებით ერთი სამართლიანი კითხვა ჩნდება — რაში სჭირდებოდა ბატონ ბობ გუდენაუს ამდენი ჯიუტობა და ყოყმანი, თუ ბოლოს გაცილებით უარეს პირობებზე დათანხმდებოდა.

შეგახსენებთ, რომ სეზონის გაუქმებამდე რამდენიმე დღით ადრე ლიგის კომისიონერმა გერი ბეტმენმა 42 მილიონიანი ზღვარის შემოღება შესთავაზა ოპონენტებს, რაზეც ცივი უარი მიიღო. ერთი სიტყვით, აშკარაა (თუ, რა თქმა უნდა, ყველაფერი ისე ან დაახლოებით ისე დასრულდება, როგორც ამას „გლობ ენდ მეილ" წერს), რომ ლოკაუტის ხანგრძლივი ომი პროფკავშირის სრული ფიასკოთი დასრულდა.

როგორც კულუარებში ამბობენ, გუდენაუ დიდ დათმობებზე რიგი ვეტერანი მოთამაშეების ზეწოლის შემდეგ წავიდა, რომლებმაც აწ უკვე გასულ სეზონში ვერსად შეძლეს თამაში. სიმართლეს ალბათ ვერასდროს გავიგებთ, ფაქტი კი ისაა, რომ ჰოკეისტების უმრავლესობა საკმაოდ უკმაყოფილოა იმით, რომ პროფკავშირის ლიდერებმა ამდენი დათმეს. მაგალითად, „ატლანტის" ფორვარდმა ილია კოვალჩუკმა განაცხადა, რომ მისთვის გაუგებარია, რატომ დათანხმდა ასე უცბად პროფკავშირი ლიგის მოთხოვნებს. „ჯერ კიდევ ერთი თვის წინ გუდენაუ გვარწმუნებდა, რომ ხელფასების ზღვარი დიდი ბოროტებაა, რომელზე დათანხმება არაფრით არ შეიძლება, ახლა კი პროფკავშირი დანებდა რბილად რომ ვთქვა, ეს ყველაფერი გაუგებრად მეჩვენება. თუმც ნებისმიერ შემთხვევაში მიხარია, რომ სულ მალე ნჰლ-ში დავბრუნდები" — თქვა კოვალჩუკმა.

ხელფასების ესოდენ მკვეთრი შემცირების შემდეგ, ბუნებრივია, იბადება კითხვა, იქნება თუ არა ნჰლ ისევ ისეთი მიმიზიდველი ევროპელი ჰოკეისტებისთვის, თუ ამიერიდან ისინი სამშობლოში დარჩებიან... იმავე რუსეთში ხომ ახლა ისეთ ფულს იხდიან, რომ ზოგ ნჰლ-ის თამაშის მსურველთა ნაკადი მაინც შემცირდება და ძირითადად ეს უფრო ასაკოვანი ჰოკეისტების მხრიდან იქნება მოსალოდნელი. ჯეელ ვარსკვლავებს კი [illegible] იქით გაუწევთ... საუკეთესო [illegible] ისტები ხომ მაინც ძირითადად [illegible] ანის გაღმა თამაშობენ. თანაც [illegible] ლიგა ძალ-ღონეს არ იშურებს [illegible] თა ჰოკეი უფრო თვალსაჩინო [illegible] შინაარსიანი გახდეს. უკვე [illegible] რამდენიმე ცვლილება წესებში. [illegible] მლებიც აშკარად წაახალისებენ [illegible] ოკეის ქომაგთ. მაგალითად, [illegible] თამაშის ფრედ დამთავრების შემთხვევაში აპირებს მატჩისშემდგომი [illegible] ბულიტების სერიის გამართვას. [illegible] რდა ამისა, ნჰლ კარების გადიდებასა და მეკარეების აღჭურვილობის [illegible] რო შემცირებას (როგორც [illegible] ჯოხი ისევ გოლკიპერებმა [illegible] გადატყდეს) აპირებს.

ასეთი გახლდათ წინა [illegible] გაში, რომლის შემდეგაც [illegible] ყველა სპეციალისტის აზრით [illegible] კაუტის დასრულებამდე [illegible] ტალა დარჩა. ეტყობა, 2005-06 [illegible] ბის სეზონი სრულფასოვანი [illegible]

და მაინც, სჯობს, [illegible] ინფორმაციას დაველოდოთ. [illegible] უმეტეს, რომ შაბათს ასოციაციის [illegible] წარმომადგენლებმა თავი [illegible] კონკრეტულ პასუხს სახელფასო [illegible] ჭერის თაობაზე.

„მოლაპარაკება ლიგასთან [illegible] ინტენსიურად მიმდინარეობს, [illegible] ჯერჯერობით საბოლოო შეთანხმება არაა მიღწეული" — [illegible] ლპა-ს აღმასრულებელმა დირექტორმა ტედ სასკინმა.

**სამველ ლარიგიანი**







# ვერული მუხტი მოსკოვის წინ

## სპორტმა მეგობრობა და თანამეგობრობა არ იცის

**16-26 ივლისს მოსკოვი დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობისა და ბალტიის ქვეყნების ახალგაზრდულ თამაშებს უმასპინძლებს. გუშინ ვერის ბაღის საკალათბურთო დარბაზში მასში მონაწილე ქართული დელეგაცია წარდგა მაყურებელთა წინაშე და სამოსკოვედ მშვენიერი საბრძოლო მუხტიც მიიღო.**



გიორგი უდესიანი

**ლამის** პირთამდე გავსებული ტრიბუნები ერთნაირ, თეთრ-წითელ ფორმაში გამოწყობილ ახალგაზრდა სპორტსმენებს მხურვალე ოვაციებით ხვდებოდა. ძიუდოისტები, სამბისტები, თავისუფალი და ბერძნულ-რომაული სტილის მოჭიდავეები, კალათბურთელები, მხატვრულად ტანმოვარჯიშეები, მოფარიკავეები, მოციგურავეები და მძლეოსნები ხელისუფლების მაღალჩინოსნებმაც დააფასეს და ლამაზი გაცილება მოუწყვეს.

მერიის სპორტის სამსახურის უფროსმა და იმავდროულად ქართული დელეგაციის ხელმძღვანელმა გიორგი უდესიანმა, საკრებულოს თავმჯდომარე ზაზა ბეგაშვილმა და კულტურის, სპორტისა და ძეგლთა დაცვის მინისტრმა გოკა გაბაშვილმა მოსკოვში წამსვლელებს წარმატება უსურვეს, მერე კი ნაკრების სპორტული ფორმებით დასაჩუქრდნენ. ტანმოვარჯიშეების საჩვენებელი გამოსვლებისა და ქართული ცეკვა-სიმღერების ჩამთავრების შემდეგ ყველამ ერთად საქართველოს ჰიმნი იმღერა.

„საქმე, რომელიც ასე ლამაზად დაიწყო, აუცილებლად კარგად დასრულდება და ჩვენი ახალგაზრდები მოსკოვში ღირსეულად წარმოაჩენენ თავიანთ შესაძლებლობებს — გვეუბნება გიორგი უდესიანი — ეს კომპლექსური შეჯიბრება ქართული სპორტის განვითარებისთვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია. 140-კაციანი დელეგაციისთვის, რომელშიც ასზე მეტი სპორტსმენია, მსგავსი დაფასება დამატებითი სტიმული გახდება წარმატებით გამოსასვლელად. სტიმულია თუნდაც ის, რომ ერთნაირ ლამაზ ფორმებში არიან გამოწყობილნი. ეს ეკიპირება ქართულმა კომპანია „სარომ" შეკერა, ყველა ხარჯი კი თავის თავზე ქალაქის მერიამ და საკრებულომ აიღო."

ბოლოს ერთი ინფორმაციაც. წინა მსგავსი ახალგაზრდული თამაშები სამი წლის წინათ გაიმართა და საქართველოს დელეგაციის წარმომადგენლებმა 13 მედალი მოიპოვეს. მოსკოვში ქართული დელეგაცია ამ შედეგის გასაუმჯობესებლად მიემგზავრება, მიუხედავად იმისა, რომ ტურნირზე დსთ-სა და ბალტიის ქვეყნების სპორტსმენთა გარდა ჩინეთის დიდი ნაკრებიც აპირებს ჩასვლას.

ასეა, სპორტულმა ბრძოლამ მეგობრობა და თანამეგობრობა არ იცის.

**ოთარ მაღლაკელიძე**

**გურამ დოლენჯაშვილის**
*ფოტოები*





გოკა გაბაშვილმა სამოსკოვოდ „საროს" სამოსში გამოწყობილ მხატვრულ ტანმოვარჯიშეებთან სამახსოვრო სურათი გადაიღო

ჭადრაკი

# ნონას თასის მომგები კიშინიოვშიც პირველია

## ევროპის ქალთა ჩემპიონატი

კიშინიოვი. მოლდოვა. 10-25 ივნისი

III ტური

| | |
|---|---|
| სვეტლანა პეტრენკო (მოლდოვა) — ლელა ჯავახიშვილი (საქართველო) | 0,5:0,5 |
| ირინა ვასილევიჩი (რუსეთი) — ნინო ხურციძე (საქართველო) | 0,5:0,5 |
| ნატალია ზდებსკაია (უკრაინა) — ქეთევან არახამია-გრანტი (საქართველო) | 0,5:0,5 |
| სოფო გვეტაძე (საქართველო) — ტატიანა კონონენკო (უკრაინა) | 0:1 |
| კატერინა დოლჟიკოვა (უკრაინა) — მაია ლომინეიშვილი (საქართველო) | 0:1 |
| ევა რეპკოვა (სლოვაკეთი) — თამარ წერეთელი (საქართველო) | 0:1 |
| დარია ჩაროჩკინა (რუსეთი) — ნანა ძაგნიძე (საქართველო) | 0:1 |
| დეზირე ჰამელინკი (ჰოლანდია) — ანა მათნაძე (საქართველო) | 0,5:0,5 |
| მაკა ფურცელაძე (საქართველო) — ნელი ალექსანიანი (უკრაინა) | 0,5:0,5 |



ლილიტ მკრტჩიანი

**ჩემპიონატზე** სამი ლიდერი გამოიკვეთა. ლიტველი ვიქტორია ჩმილიტე, უკრაინელი ეკატერინა ლაჰნო და ახლახან „ნონას თასის" მომგები სომეხი ლილიტ მკრტჩიანი სამ-სამი ქულით პირველობენ ცხრილს.

არასტაბილურად ასპარეზობენ ქართველები. მათგან საუკეთესო შედეგი ლელა ჯავახიშვილს, ნინო ხურციძეს, თამარ წერეთელსა და მაია ლომინეიშვილს აქვთ. ისინი ნახევარი ქულით ჩამორჩებიან ლიდერებს.

17 სვლაში დაასრულეს პარტია მასპინძელმა პეტრენკომ და ჯავახიშვილმა. მოლდოველმა კლასიკური e4-ით დაიწყო პარტია. ქართველმა მეტოქეს სიცილიური დაცვა დაუპირისპირა, ლაზიერ-მხედარი გამოიყვანა და დასარტყმელად მოემზადა. მე-8 სვლაზე ჯავახიშვილი კუთი გადავიდა შეტევაზე, მაშველად კი მხედრები გაიყოლია და გაცვლებს შეუდგა. ბრძოლა დიდხანს არ გაგრძელებულა. მეტოქეებმა რამდენიმე ფიგურა მოუკლეს ერთმანეთს და ნაადრევი ზავი გამოაცხადეს.

ყაიმს დასჯერდა საქართველოს ჩემპიონი ნინო ხურციძეც ირინა ვასილევიჩთან შეხვედრაში. უპირატესობას თავიდანვე რუსი დაეუფლა. მან მთელი მძიმე ტექნიკა ქართველის ხელმწიფისკენ მიმართა და იერიშისთვის შეამზადა. ნინომ მედგარი წინააღმდეგობა გაუწია, მის დარტყმებს კონტრშეტევებით უპასუხა და მდგომარეობა ცოტა განმუხტა. ვასილევიჩმა მალევე შეძლო დაკარგული უპირატესობის დაბრუნება, თუმც მოსაფიქრებლად ცოტა დრო შერჩა და 35-ე სვლაზე დაზავება არჩია.

**ლაშა გეგეჭკორი**

რაგბი

# მორაგბეთა გულისწყრომა და სოკ-ელი დიდმოხელის თავისმართლება

**შვიდკაცა** რაგბის 16 ეროვნული ნაკრების კაპიტნებმა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტ ჟაკ როგს გაუგზავნეს წერილი, რომელშიც აღშფოთებას გამოთქვამენ ამ ოლიმპიური ოჯახის ერთ-ერთი წევრის გამონათქვამის გამო. კაპიტანთა ეს წერილი გამოაქვეყნა რაგბის საერთაშორისო ბიურომ, რომლის შტაბ-ბინაც ირლანდიის დედაქალაქშია.

საქმე ისაა, რომ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის აღმასკომის წევრმა დენის ოსვალდმა, რომელიც პარალელურად სპორტის საზაფხულო ოლიმპიურ სახეობათა საერთაშორისო ფედერაციების ასოციაციის პრეზიდენტიცაა, შვიდკაცა რაგბს „ხუმრობა" უწოდა. ოსვალდმა შვიდკაცა რაგბი სადმე პირად საუბარში კი არ დააკნინა, არამედ იმ ასოციაციის სხდომაზე, რომელსაც თავად თავკაცობს.

რაღა თქმა უნდა, ოსვალდის დაუფიქრებელმა სიტყვამ მორაგბეები აღაშფოთა. მათი გულისწყრომა მით უფრო გასაგები გახდება, თუ გავითვალისწინებთ იმ ამბავს, რომ საუბარია შვიდკაცა რაგბის ოლიმპიური თამაშების პროგრამაში შეტანაზე, რისთვისაც ამ სახეობის წარმომადგენლები სოკ-ის კარს მისდგომიან და სულ უფრო ძლიერად აკაკუნებენ.

აღშფოთებული მორაგბეები სოკ-ის პრეზიდენტზე უკეთეს ქომაგს ვერც იპოვიდნენ, რადგან ჟაკ [illegible] დროზე თავადაც მორაგბე [illegible] და „დიდ" რაგბიში [illegible] ბის წევრიც იყო.

მორაგბეები ჟაკ [illegible] სოკ-მა საჯაროდ [illegible] ამ ორგანიზაციის [illegible] რი არა აქვს დენის ოსვალდის [illegible] ნტართან, „რომელიც [illegible] ლი, დაუშვებელი და [illegible] რტის იმ სახეობისადმი [illegible] თითოეულ ჩვენგანს უყვარს და [illegible] მელსაც საკუთარი თავი [illegible] ნით. ჩვენ ყველას გვჯერა, [illegible] დკაცა რაგბს შეუძლია, 2012 წლისთვის გაძლიერდეს, უფრო [illegible] რული გახდეს და [illegible] ური თამაშების პროგრამაში".

მორაგბეთა გულისწყრომა [illegible] ხად დენის ოსვალდმა [illegible] ს პრეზიდენტს უკვე [illegible] გუნებაში სულაც არ [illegible] მიცდია ამ სახეობის [illegible] უბრალოდ არასწორად [illegible] ცეს ჩემი.

ოსვალდმა დასძინა, [illegible] თქვა, რომ ეს რაგბის [illegible] ვარიანტი არ არის. [illegible] სარბიელზე 7 კაცი [illegible] შვიდწუთიანი და [illegible] რაგბს კი 15-15 კაცი [illegible] 40-წუთიანი ორი [illegible] ბაში.

**ავთანდილ ჭყვიშვილი**

სროლა

# ქართველებმა მიუნხენიდან მილანში ბრინჯაო წაიღეს

**მიუნხენში** დასრულებულ მსოფლიოს თასის გათამაშების ეტაპზე ნინო სალუქვაძემ 10 მეტრიან დისტანციაზე პნევმატური იარაღით სროლაში მესამე ადგილი დაიკავა. მან 385,3 ქულა დააგროვა და სულ რაღაც ერთი ქულით ჩამორჩა პირველადგილოსან კორეელ ნამ სუკ პარკს.

10 მეტრიან დისტანციაზე ასევე ისროლეს ნინო უჩაძემ და თამილა ასათიანმა, თუმც წარუმატებლად და შესაბამისად მე-60 და 75-ე ადგილები დაიმსახურეს.

25 მეტრიდან სპორტული პისტოლეტით სროლაში ნინო სალუქვაძემ 779 ქულით მეხუთე ადგილი მოიპოვა, ხოლო პირველი სერბი იასნა სეკარიჩი გახდა 789 ქულით.

ვაჟებში 50 მეტრიდან სროლაში ავთანდილ დიდმელაშვილმა იასპარეზა, თუმც 99 მონაწილეს შორის 498 ქულით 88-ე ადგილს დასჯერდა.

პნევმატური იარაღით 10 მეტრიან დისტანციაზე ახალგაზრდა სერგი ჩიტაშვილმა ისროლა. მან 111 სნაიპერში 567 ქულა დააგროვა და 79-ე ადგილზე გავიდა.

ქართველი მსროლელები მიუხენიდან მილანში გაემგზავრნენ, სადაც მსოფლიოს თასის მორიგი ეტაპი გაიმართება.

**ლაშა გეგეჭკორი**

# ერთადერთი ებრაელი ჩემპიონიც არ დაინდეს



**ქურდებმა** ისრაელის ერთადერთი ოლიმპიურ ჩემპიონს, გალ ფრიდმანს ოქროს მედალი მოპარეს. ეს მედალი მან შარშან ათენის ოლიმპიურ თამაშებზე აფროსნობაში „მისტრალის" კლასში მოიპოვა. [illegible] გარდა, ფრიდმანს მოპარეს ატლანტის ოლიმპიური თამაშების [illegible] ოს მედალიც, ხელს კი მამამისის სახლიდან ოქროს [illegible] პისტოლეტიც გააყოლეს.

„რაც არ უნდა მოხდეს, ისინი ჩემს სპორტულ მიღწევებს [illegible] რავენ" — ასეთი კომენტარი გაუკეთა ფრიდმანმა ამ ქურდობას.

ჩოგბურთი

# თბილისის პრემიერი ყველაზე კორექტული ყოფილა



ტურნირის ყველაზე კორექტული მოთამაშე თემურ ქურხული

**ვაკის** პარკში კლუბ „მუხის ფოთოლის" კორტებზე ტრადიციული ტურნირი ჩატარდა ჩოგბურთში. თითო მოყვარულს თითო პროფესიონალი შეუწყვილდა და ტურნირიც ამ პრინციპით გაიმართა.

პირველი ადგილი საშა ჩეკულაევისა და სანდრო ბერძენიშვილის წყვილს ერგო, მეორეზე აჩიკო მღებრიშვილი და ირაკლი თოფურიძე გავიდნენ.

სამეულს მიღმა აღმოჩნდა თბილისის პრემიერის, თემურ ქურხულისა და ბექა გოშაძის წყვილი, რომელმაც მესამე ადგილისთვის ბრძოლა მამუკა მიქელაძისა და ზაზა ბოკერიას „დუეტთან" დათმო.

მიუხედავად ამისა, თემურ ქურხულმა აშკარა სიმპათია დაიმსახურა შეუპოვარი და ოსტატური თამაშის წყალობით, ყველაზე კორექტული მოთამაშის პრიზიც დაიმსახურა.

ამ ტრადიციულ ტურნირის გარდა, რომელიც წელიწადში ორჯერ, ზაფხულში და შემოდგომაზე იმართება, კლუბი „მუხის ფოთოლი" ბევრ საინტერესო პროექტს გვთავაზობს ხოლმე.

მაგალითად, ახლახან გაიხსნა კლუბის ბიოგრაფიის ამსახველი ფოტოების გამოფენა, 26 ივნისს კი საქართველოს ჩოგბურთის ფედერაციის ინიციატივით მოწყობილ ღია კარის დღეს საკუთარი სახსრებით უმასპინძლებს.

პერსპექტივაში რამდენიმე საყურადღებო პროექტია, მათ შორის მოსკოველი ვეტერანების ჩამოყვანა საქართველოში.

**ლადო ფულუკიძე**

# სამ მილიონჯერ

ემანუელ კოინდრი პირველი კაცი იქნება, ვინც 6,5-მეტრიანი სამარტოხელო ნავით წყნარ ოკეანეს შეაქიდება. კოინდრს დათვლილი აქვს, რომ სამ მილიონჯერ უნდა მოუსვას ნიჩაბი, რათა 9 ათასი კილომეტრი გაცუროს. აქამდე მას ბარე ხუთჯერ გადაუკვეთავს ატლანტიკა ამავე ნავით.






# მესაყვირე

შვეიცარიის ველოტური მთელი ამბით გახურებულა. შაფჰაუზენსა და ვენფელდენს შორის, ტყეში გაჭრილ გზაზე, ისევე, როგორც ძველ დროში, მხედრებს მესაყვირე შეეგებათ.

# ასმეხუთე

პაინჰერსტის კლუბში
სულ მალე დაიწყება ამერიკის 105-ე ღია ჩემპიონატი გოლფში. ჯერჯერობით მხოლოდ ვარჯიშია, თუმცა ხალხი მრავლად მოგროვილა.






# პრის დე დიან

ჟოკეი კრისტოფ-პატრის ლემარი (შუაში) „დიანის პრიზის“ გამარჯვებული შეიქნა სამწლიანი ულაყებით გაითქმულ შეჯიბრში, რომელიც უკვე 15-ედ ტარდება.




# მალაყის გაჭიმა

კარლ ედვარდსი თავისი „ფორდის“ სახურავზე სჭიმავს მალაყს. ზეიმს მიზეზი აქვს. ედვარდსმა „პოკონო-500-ის“ თასი მოიგო ლონგ პონდში, პენსილვანიაში. ნასკარმა იცის ასეთი სიხარული.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი ილია ბაბუნაშვილი
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი ავთანდილ გურასაშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე
კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, სოსო კოტორეიშვილი, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ლევან კილაურიძე, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბეხელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი ღვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, ზვიად მოსიაშვილი, თენგიზ ფოფხაძე, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge